შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: ტრეფიკინგი საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **შალვა ნინიძე**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი ნინო ბოჭორიშვილი

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია ----------3

Annotation ----------4

შესავალი----------5

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა ----------8

თავი II. ტრეფიკინგი ----------9

2.1. ტრეფიკინგის არსი----------9

2.2 ტრეფიკინგის ნიშნები ----------16

2.3 ტრეფიკინგის სახეები და ფორმები ----------20

2.4. ტრეფიკინგი - მიზეზები და შედეგები ----------22

2.5.საქართველოში ტრეფიკინგის გავრცელებისა და პირთა დასჯადობის სტატისტიკური მონაცემები----------25

თავი III. ტრეფიკინგი და საერთაშორისო კანონმდებლობა----------27

3.1. ადამიანით ვაჭრობა საერთაშორისო სამართლის მიხედვით----------27

3.2. უცხო ქვეყნების შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები ----------33

თავი IV. ტრეფიკინგი და ეროვნული კანონმდებლობა ----------37

4.1. ადამიანით ვაჭრობა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით ---------- 37

4.2. სასამართლო გადაწყვეტილება----------41

თავი V. ტრეფიკინგთან ბრძოლის გზები----------44

5.1. დირექტივა ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ ----------44

5.2. ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა და დანაშაულის აღმოჩენის გზები ----------46

5.3. ტრეფიკინგთან ბრძოლა საქართველოში და არსებული პრობლემები ----------49

თავი VI. კვლევის შედეგები----------54

დასკვნა----------56

გამოყენებული ლიტერატურა----------57

ანოტაცია

წინამდებარე სადიპლომო ნაშრომში განხილულია ტრეფიკინგის არსი, მისი გამომწვევი მიზეზები და მიღებული შედეგები. ამავე დროს, სიღრმისეულად არის ნაჩვენები ადამიანით ვაჭრობის პრობლემასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და მისდამი დამოკიდებულება როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

მოცემულ თემაში შეძლებისდაგვარად ვუღრმავდებით არსებულ შესაძლებლობებს ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ საქართველოში, ამასთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებსა თუ წინ გადადგმულ ნაბიჯებს, ასევე მსხვერპლთა დაცვისათვის შემუშავებულ მექანიზმებს, რომლებიც ეროვნული თუ უცხო ქვეყნების შიდა კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. ტრეფიკინგთან ეფექტური ბრძოლის გზების ძიება არის ყველაზე მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, იმ მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვა, რომლებიც უნებლიეთ იქცნენ ამ საშინელი დანაშაულის მთავარ ნაწილად. როდესაც იცვლება საკითხის მიმართ მიდგომა და ის პროგრესულად ვითარდება, რასაკვირველია, შედეგებიც უკეთესია. ტრეფიკინგის მსხვერპლმა უნდა იცოდეს, რომ კანონი მას არ მიიჩნევს დამნაშავედ და მისთვის ის მხოლოდ მსხვერპლია, რაც არ აიძულებს ამ უკანასკნელს, მდუმარედ აიტანოს მორალური თუ ფიზიკური ძალადობა. კანონი აძლევს მას შესაძლებლობას, დაიხსნას თავი მონობისგან და გახდეს საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი. მსოფლიო თუ ეროვნული კანონმდებლობა ამ მხრივ საკმაოდ ეფექტურ ნაბიჯებს ახორციელებს, რაც, თანდათან, თუნდაც შორეულ პერსპექტივაში, უნდა გახდეს ამ საზარელი დანაშაულის სრული აღმოფხვრის თუ არა, საგრძნობლად შემცირების წინაპირობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სწორედ ტრეფიკინგსა და მასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს შევეხებით ქვემოთ მოცემულ თავებსა და ქვეთავებში.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად თემას, დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Annotation

The present thesis work describes essence of trafficking, cause of occurrence and obtained results. At the same time all problematic issues concerning human trafficking and attitude thereto are extensively researched, both in accordance with national legislation and international law.

In the present thesis theme we tried to consider anti-trafficking measures existing in Georgia as much as possible, preventive measures and actions to move forward, as well as developed mechanisms for protecting a victim, stipulated by domestic and foreign legislation. Seeking effective solutions for fighting against trafficking and safety protection of victims, which unintentionally became a part of such heinous crime, is the most important. In case of changing attitude toward the issue and developing progressively, certainly the obtained results should be much better.

Trafficking victim should be familiar that legislation considers her/him not as an offender but as a victim, and due to this fact he/she is not forced to endure physical or moral violence. Legislation provides him/her with the opportunity to be rescued from slavery and to become a fully productive member of society.

National and International legislation takes effective actions, thereby this fact should create precondition for reducing significantly of such heinous crime if not eliminating completely, step by step in the further.

Taking into consideration above-mentioned, trafficking and all related issues shall be considered in chapters and sub-chapters specified below.

Thesis work contains a content, introduction, principal theme, conclusion and list of sources used.

შესავალი

თემის აქტუალობა. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) განიხილება, როგორც მონობის თანამედროვე, სახეშეცვლილი ფორმა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული დანაშაული მოიცავს პირის ძალისმიერი, მოტყუებითი ან იძულების სხვა საშუალებებით გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას ექსპლუატაციის მიზნით, რომელშიც მოიაზრება როგორც კომერციულ-სექსუალური, ასევე შრომითი ექსპლუატაცია.

ყოველ წელიწადს, მსოფლიოში საშუალოდ ორიდან ოთხ მილიონამდე ადამიანი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი, მათგან 70% ქალები და ბავშვები არიან. ხშირ შემთხვევაში, ისინი საზოგადოების ყველაზე დაუცველ ფენას წარმოადგენენ.

საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა ,,საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინაღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ საფუძველს. გარდა ამისა, საქართველოს მიერ რატიფიცირებულია ,,ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმი“ და ,,ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.

საქართველოს ოც ქვეყანასთან აქვს გაფორმებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პოლიციის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც მოიცავს თანამშრომლობას ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის სფეროშიც. ტრეფიკინგის წინააღმდეგ აღმკვეთი ღონისძიებების გატარების მიზნით, შესაბამისი ოქმი ხელმოწერილია თურქეთის რესპუბლიკასთან.

სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, შექმნილია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც, მანდატის ფარგლებში, ორ წელიწადში ერთხელ შეიმუშავებს ეროვნულ სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმის შესრულების ფარგლებში და ეროვნული რეფერალური მექანიზმის დახვეწის მიზნით, საბჭომ დაამტკიცა „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სტრატეგია“.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბაზაზე შექმნილია ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომელიც ემსახურება ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა

დახმარებასა და დაცვას. ფონდის ფუნქციებში, ასევე, შედის მსხვერპლთა თავშესაფრითა და შესაბამისი სარეაბილიტაციო პროგრამებით უზრუნველყოფა.

დანაშაულის სიმძიმისა და პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შექმნილია ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო. შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ფარგლებში მოქმედებს ერთიანი საინფორმაციო ბანკი, რომელიც ხელს უწყობს ადამიანებით მოვაჭრეთა იდენტიფიკაციის დადგენასა და მათ შესახებ სხვადასხვა უწყებაში არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციას. შსს-ს სისტემის გავითარების სტრატეგიის მიხედვით, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა სახელდება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად, სადაც ცალკე თავად არის გაწერილი ამ კუთხით არსებული გამოწვევები და მომავალში განსახორციელებელი ღონისძიებები.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს კვალიფიციური კადრების არსებობა. სწორედ ამ მიზნით, შსს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამშრომელთა სათანადო მომზადებასა და გადამზადებას. შსს-ს აკადემია უზრუნველყოფს სამართალდამცავთა საბაზისო მომზადებას. აღნიშნული საბაზისო მომზადების კურიკულუმები სხვა თემებთან ერთად მოიცავს ტრეფიკინგის საკითხებს.

ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და ერთობლივი პროექტების გახორციელებით, უზრუნველყოფილია თანამშრომელთა ცოდნის გაღრმავება და თანამედროვე ტენდენციების შესახებ სიახლეების გაცნობა. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში ფუნქციონირებს ორმხრივი თანამშრომლობის განყოფილება და სუამის განყოფილება, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, უსაფრთხო ქსელებით უზრუნველყოფენ ოპერატიული ინფორმაციის გაცვლას შესაბამის ქვეყნებთან.[1]

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია, ღრმად შევისწავლოთ და დავახასიათოთ ტრეფიკინგის არსი, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები, აგრეთვე განვიხილოთ თავად ეს დანაშაული (ადამიანით ვაჭრობა) ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით.

კვლევის ამოცანა: ჩვენ მიერ დაწერილი თემის საკვლევი ამოცანაა ვნახოთ:

- რა კეთდება ტრეფიკინგის წინააღმდეგ;
- რა ღონისძიებებს მიმართავს სახელმწიფო;

[1] ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი, 2013 წ., https://police.ge/ge/projects/adamianit-vachroba

- რამდენად ეფექტურია მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები და ა.შ.

კვლევის მეთოდები: ნაშრომის წერისას გამოვიყენეთ თეორიული და კვლევითი მეთოდები. კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურა, მკვლევართა შრომები და ინტერნეტ-რესურსები, რის დასკვნით ნაწილსაც თემის ბოლოს გაგაცნობთ. თემა მოიცავს ექვს თავს, რომლებიც დაყოფილია ქვეთავებად და თითოეული მათგანი დაწერილია კონკრეტულ მეთოდზე დაყრდნობით.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე ნაშრომის მომზადებაში დიდი დახმარება გაგვიწია ისეთმა ლიტერატურამ, როგორიცაა მ. ბაძაღუას „ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი“ (საქართველოს მაგალითზე), გამყრელიძის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, მ. ვანდერბერგის ქალთა უფლებების განყოფილება, უფლებადამცველი ორგანიზაციის ჰიუმან რაითს ვოჩის მასალებმა, რომლებიც განხილულია საერთაშორისო ოპერაციების ქვეკომიტეტისა და ადამიანის უფლებების კომიტეტის მიერ. აგრეთვე, ფრიად მნიშვნელოვანი გამოდგა გ. მათიაშვილის წიგნი „SOS! ტრეფიკინგი“ და ავტორთა კრებული „სისხლის სამართლის ქრონიკები“ (საერთაშორისო სამართლის ლაბორატორია), რომლებიც 2015-დან 2018 წლამდეა გამოცემული. გარდა ამისა, ქართველი ავტორებიდან ძალიან დაგვეხმარა ტურავას „ევროპული სისხლის სამართალი“, დ. ჯულუხაძის „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ტრეფიკინგისათვის“ დაბ. ჯიშკარიანის „ევროპული სისხლის სამართალი“ (ევროკავშირის ფარგლებში).

ნაშრომზე მუშაობისას, სამეცნიერო ლიტერატურის გარდა, აუცილებელია ნორმატიული მასალის გამოყენებაც და ასეთები იყო ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ, 15.04.2011 წ.; საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულება №1152 -ვებგვერდი, 03.01.2013 წ. და საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი №6439;

აქვე უნდა აღინიშნოს უცხოური ლიტერატურა და წყაროებიც, რომლებიც ან ინტერნეტ-სივრცეშია ხელმისაწვდომი, ან ბიბლიოთეკაში. მოვიძიეთ „საინფორმაციო ბიულეტენიც“ და მასში გამოქვეყნებული მასალა ტრეფიკინგზე ასევე საკმაოდ გამოგვადგა. რაც შეეხება ხსენებულ უცხოურ ლიტერატურას, ასეთები იყო: Дьяченко, А. – „Ответственность за сексуальную эксплуатацию женщин и детей“, „Уголовное право“, 2003, №2; Morehouse Christal. Combating human trafficking: policy gaps and hidden political agendas in the USA and Germany. Vsresearch, 2009 და სხვ.;

თავი II. ტრეფიკინგი

2.1. ტრეფიკინგის არსი

ტრეფიკინგი ადამიანების უფლებების სერიოზული დარღვევაა, რომელიც მსხვერპლს დიდ სულიერ და ფიზიკურ ზიანს აყენებს. ზიანი ხშირად იმდენად მძიმეა, რომ სამედიცინო ჩარევის შემთხვევაშიც კი ვერ ხდება მსხვერპლის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის სრულად აღდგენა. ტრეფიკინგის დანაშაულს რამდენიმე ეტაპი გააჩნია.

ადამიანით ვაჭრობის სფეროში, საქართველო იყო მესამე კატეგორიის ქვეყანათა შორის (ამ მხრივ ყველაზე ცუდი მონაცემების მიხედვით), სადაც ტრეფიკინგს არანაირი დაბრკოლება არ ექმნებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანებით ვაჭრობა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას და ადამიანის ღირსებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. ის ართმევს ბავშვებს უფლებას - შეინარჩუნონ იდენტურობა, მიიღონ განათლება, ჯანდაცვა, შეეძლოთ დასვენება და გართობა თავისუფალ დროს, ამასთანავე ართმევს იმ უფლებასაც, რომ არ დაექვემდებარონ ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. ევროპაში ბავშვების ტრეფიკინგი, უმეტესად, სექსუალური ექსპლუატაციის ან იძულებით შრომის მიზნით ხდება. ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვებს არწმუნებენ, რომ მათ არ გააჩნიათ ალტერნატივა, ამიტომ ბავშვებს არ აქვთ იმის მოტივაცია, თავი დააღწიონ ამ მდგომარეობას. ევროპაში არ არის არც ერთი ქვეყანა, რომელსაც არ ეხება ადამიანებით ვაჭრობა – ეს მსხვერპლთა წარმოშობის, ტრანზიტის ან მიმღები ქვეყანაა, ან მათი კომბინაცია - ყველა ერთად. ადამიანებით საერთაშორისო ვაჭრობის აღმოსაფხვრელად საჭიროა სერიოზული საერთაშორისო თანამშრომლობა, ამ თანამშრომლობის არარსებობით კი ადამიანებით მოვაჭრენი სათავისოდ და ბოროტად სარგებლობენ. კერძოდ, ტრეფიკერები აგროვებენ ადამიანებს (უმეტესად ისეთ ქალებსა და ბავშვებს, რომლებიც სიღარიბითა და საარსებო რესურსების სიმცირით გამოირჩევიან). ისინი ადამიანებს იზიდავენ უკეთესი ცხოვრების დაპირებით და შემდეგ აიძულებენ, იცხოვრონ და იმუშაონ უსამართლო, არაჰუმანურ ან ძალადობრივ პირობებში.

ადამიანების ტრეფიკინგი ამგვარად განისაზღვრება: სექსუალურ ტრეფიკინგში იგულისხმება კომერციული სექსუალური აქტი შესრულებული ძალის გამოყენებით, მოტყუებით, იძულებით ან იგივე აქტის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელსაც არ შეუსრულდა 18 წელი; ან მოგროვება, განთავსება, ტრანსპორტირება, გარიგება ან პირის გამოყენება ფიზიკური შრომისათვის და სხვა მომსახურებისათვის ძალის გამოყენებით ან იძულებით ნებისსაწინააღმდეგო მორჩილების,

კაბალურ მდგომარეობაში ჩაყენებით, ვალის დაკისრება ან მონობა. ადამიანებით ტრეფიკინგი მოიცავს იძულებას, მოტყუებას ან ძალის გამოყენებას სხვა პირზე კონტროლის გახორციელების მიზნით.[2]

ადამიანთა ტრეფიკინგის საკითხების თანამედროვე გადაწყვეტა მოგვცა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ 2000 წლის 15 ნოემბერს მიღებულმა გაეროს კონვენციამ, უშუალოდ კი მისმა დამატებითმა ოქმმა „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ მიღებულმა 2000 წლის 12 დეკემბერს. ამ უკანასკნელში ჩამოყალიბებულია ტრეფიკინგის თანამედროვე და საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიცია შემდეგი სახით: ა) ტრეფიკინგი ნიშნავს ადამიანების გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას და მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით, ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას. ბ) თუ გამოყენებულია ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება, ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლის თანხმობას აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს; გ) ბავშვის გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით, უნდა ჩაითვალოს „ტრეფიკინგად“ მაშინაც კი, როდესაც გამოყენებული არ ყოფილა ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება; დ) „ბავშვი“ გულისხმობს ნებისმიერ ადამიანს 18 წლის ასაკამდე.

აღნიშნული დეფინიცია, მისი სწორად აღქმის მიზნით, პირობითად სამ ნაწილად არის გაყოფილი: პირველ ნაწილში მოცემულია კონკრეტული მოქმედებები, რომლებიც ცალკე და ერთობლიობაში თუ ადამიანის ექსპლუატაციის მიზნით არის გახორციელებული დანაშაულებრივი ქმედებებია - ადამიანების გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება; მეორე ნაწილში მოცემულია ის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც აღნიშნული მოქმედებები ხორციელდება, კერძოდ, მუქარა, ძალის გამოყენება, იძულება, გატაცება, თაღლითობა, მოტყუება,

[2] ტრეფიკინგი - მონობა ოცდამეერთე საუკუნეში, 31.01.2014

საკუთარი უფლებამოსილების ან სხვისი უმწეობის ბოროტად გამოყენება, იმ პირისათვის საფასურის მიცემა, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა ადამიანზე;
ხოლო მესამე ნაწილში მოცემულია დანაშაულის მიზანი - ადამიანის ექსპლუატაცია.

ტრეფიკინგის იდენტიფიკაციისათვის მნიშვნელოვანი იყო აქ შეტანილი ის დებულება, რომ იმ შემთხვევაში თუ გამოყენებულია ზემოაღნიშნული რომელიმე საშუალება, მაშინ ტრეფიკინგის დანაშაულის არსებობის მტკიცებისათვის მნიშვნელობა არ აქვს, თანახმა არის თუ არა მსხვერპლი ასეთ ექსპლუატაციაზე - მსხვერპლის თანხმობა ექსპლუატაციაზე დამნაშავის გამამართლებელ არგუმენტად არ მიიღება.

და ბოლოს, რაც შეეხება 2005 წლის ევროსაბჭოს კონვენციას, აქ მოცემული დეფინიცია თითქმის იდენტურია გაეროს დეფინიციის და მოცემულია შემდეგი სახით: (ა) „ადამიანებით უკანონო ვაჭრობა“ ნიშნავს ექსპლუატაციის მიზნით პირთა სამუშაოზე აყვანას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, თავშესაფრის მიცემას ან მიღებას, მუქარის ან ძალის ანდა იძულების სხვა ფორმის გამოყენების ან თაღლითობის, ან მოტყუების, ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, ან უმწეო მდგომარეობით სარგებლობის ან საზღაურის ან სარგებლის მიცემის ან მიღების გზით, რომლის მიზანია იმ პირის თანხმობის მიღება, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა პირზე.

ექსპლუატაცია, ყველაზე შეზღუდული განმარტებით, გულისხმობს სხვა პირთა ექსპლუატაციას პროსტიტუციის მიზნით ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონურ ან სხვა მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებას, კატორღულ მუშაობას ან ორგანოების ამოცლას; (ბ) „ადამიანებით უკანონო ვაჭრობის“ მსხვერპლის თანხმობა, გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნებისთვის, არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ ეს თანხმობა მიღებულ იქნა (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე საშუალებით. (გ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის სამუშაოზე აყვანა, ტრანსპორტირება, გადაცემა, თავშესაფრის მიცემა ან მიღება განიხილება როგორც „ადამიანებით უკანონო ვაჭრობა“ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოყენებული არ ყოფილა ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე საშუალება; (დ) „ბავშვი“ ნიშნავს თვრამეტ წლამდე ასაკის ნებისმიერ პირს. (ე) „მსხვერპლი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც წარმოადგენს ადამიანებით უკანონო ვაჭრობის ობიექტს ამ მუხლის განსაზღვრების შესაბამისად.[3]

ევროსაბჭოს კონვენცია წარმოადგენს ევროპის მასშტაბით მნიშვნელოვან ანტიტრეფიკინგულ მექანიზმს, რომელიც ღებულობს არამხოლოდ რეკომენდაციულ სახეს, არამედ იმ სახესაც, რომლის

[3] Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings. Warsaw, 16.V.2005

ფარგლებშიც შექმნილია ქვეყნების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. ევროსაბჭოს კონვენცია წარმოადგენს პირველ ევროპულ კონვენციას ამ მიმართულებით, რომლის ძირითადი მიზანია ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა-რეაბილიტაცია. კონვენციის მიზნებში ასევე შედის ტრეფიკინგში ჩართულ დამნაშავეთა დასჯისა და ტრეფიკინგის პრევენციის საკითხები. ადამიანთა ტრეფიკინგის დეფინიციის ჩამოყალიბებასთან ერთად საერთაშორისო კანონმდებლობაში შემუშავდა მასთან დაკავშირებული სტანდარტული დეფინიციები, რომლებიც აადვილებენ მოვლენების ერთგვაროვან აღქმას მსოფლიო მასშტაბით, მაგალითად, ისეთი მოვლენების, როგორიცაა: ადამიანით ვაჭრობა - ყველა ქმედება ან განზრახვა, რომელიც უკავშირდება პირის ან პირთა ჯგუფის ყიდვას, გაყიდვას, გატაცებას, ან ამგვარი ქმედებებით მოგების მიღებას, უბრალოდ, ასეთი პირის შენახვას, მის მოტყუებას, იძულებას, შანტაჟის გზით გამოყენებას;[4]

ექსპლუატაცია - პროსტიტუციაში ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმაში ჩაბმას, იძულებით მუშაობას ან მომსახურეობას, მონობას ან მონობასთან გაიგივებულ მდგომარეობაში ჩაყენებას, დაბეჩავებას ან სხეულიდან ორგანოების, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის ამოკვეთას გადანერგვის მიზნით; სავალო კაბალა - მდგომარეობა, სადაც ვალის გადაუხდელობის სანაცვლოდ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება არ ითვლება ვალის დაფარვად და სამუშაოს ხანგრძლივობა და ფორმა განსაზღვრული არ არის; მონობასთან გაიგივებული მდგომარეობა - მუშაობა და მომსახურეობა, რომელსაც პიროვნება იძულებით ასრულებს; მსხვერპლის წარმოშობის სახელმწიფო - ქვეყანა, სადაც ხდება მსხვერპლის რეკრუტირება; ტრანზიტი სახელმწიფო - ქვეყანა, რომლის გავლითაც გადაჰყავთ მსხვერპლი. დანიშნულების სახელმწიფო - ქვეყანა, სადაც ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლის აქსპლუატაცია; სუროგატი დედა - ქალი, რომელიც ხელოვნური განაყოფიერებით ან ემბრიონის იმპლანტაციით აჩენს ბავშვს; მიგრანტთა კონტრაბანდა - სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის არალეგალური შესვლის უზრუნველყოფა, მისგან საამისოდ მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით. სწორედ ამ მიზნის გამო განსხვავდება იგი ადამიანთა ტრეფიკინგისგან;

არალეგალური მიგრაცია - მოიცავს როგორც მიგრანტთა კონტრაბანდას, ისე ადამიანთა ტრეფიკინგს და, საერთოდ, ყველა სახის არალეგალურ გადაადგილებას სახელმწიფოდან სახელმწიფოში, ისევე როგორც ქვეყანაში არალეგალურ-უვიზო ცხოვრებას, მიუხედავად იქ მოხვედრის საშუალებისა, რომელიც თავისთავად შეიძლება ლეგალურიც ყოფილიყო. ბ) ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგის ცნება საქართველოს კანონმდებლობით: ადამიანით ვაჭრობა

[4] გ. ლობჟანიძე, ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2006 წ.;

(ტრეფიკინგის) საერთაშორისო დეფინიციის შეცნობის შემდგომ. მნიშვნელოვანია გავიგოთ საქართველოს რეალობაში და შესაბამისად მის კანონმდებლობაში რა სახე მიიღო ამ მოვლენამ. საქართველოს კანონმდებლობაში ტრეფიკინგის ცნება დაინერგა მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება გაეროსა და ევროსაბჭოს მოთხოვნებთან საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის, რის გამოც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წელს შეიტანეს ცვლილებები. კოდექსს დაემატა ორი ახალი მუხლი 143 (1) „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“ და 143 (2) „არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“ - სადაც ტრეფიკინგი განმარტებულია შემდეგი სახით: მუხლი 143 (1). ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ადამაინის ყიდვა ან გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების გახორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

ექსპლუატაციად მიიჩნევა ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზნით, აგრეთვე ადამიანის იძულება სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირს, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას. პირისთანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ აქვს. მუხლი 1432. არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების გახორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

საქართველოს კანონმდებლობაში ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის დეფინიცია სრულად შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს და წარმოადგენს გაეროს დეფინიციის

ანარეკლს, მაგრამ ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსით ტრეფიკინგის გაყოფა ორ სხვადასხვა ნაწილად და არასრულწლოვნების ტრეფიკინგის ცალკე გამოყოფა აუცილებლობას არ წარმოადგენს. არასრულწლოვნების ტრეფიკინგი ქმედების დამამძიმებელ გარემოებად შეიძლება ყოფილიყო მოცემული, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა შემთხვევებშია მოცემული. ასევე არასრულწლოვნით ვაჭრობის - ტრეფიკინგის მუხლის ცხოვრებაში რეალიზაციასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული წინააღმდეგობები. კერძოდ, მუხლის სტრუქტურა საშუალებას გვაძლევს მისი შინაარსი გავიგოთ არაერთგვაროვნად, მაგალითად: სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლს სამართალდამცველები იყენებენ ჩვილი ბავშვებით ვაჭრობის შემთხვევებში, მაშინ, როდესაც ბავშვი გამიზნულია შვილად აყვანისთვის, რა დროსაც ადგილი არ აქვს ვაჭრობის ობიექტის ექსპლოატაციას, ხოლო ექსპლოატაციის მიზნის არარსებობა გამორიცხავს ამ მუხლის გამოყენების შესაძლებლობას, რაც ჯეროვნად არ სრულდება ქართული მართლმსაჯულების მხრიდან. ასევე ამ მუხლის სტრუქტურა შინაარსის სხვაგვარი გაგების საშუალებას იძლევა: მუხლი იწყება სიტყვებით „არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა“, შესაბამისად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ადამიანის მიმართ გარიგების გახორციელება უკვე დასრულებული დანაშაულია და არ არის ამისთვის აუცილებელი ექსპლოატაციის მიზნის არსებობა. კარგი იქნებოდა, ქართველი კანონმდებელი გასცდენოდა საერთაშორისო კანონმდებლობის მოცემულობას, არ მოეხდინა საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიციის სიტყვასიტყვითი თარგმნა და თავად ეცადა, ჩამოეყალიბებინა ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგის საკუთარი უნიკალური დეფინიცია, რომელიც უფრო მორგებული იქნებოდა ქართულ ენასთან და არ წარმოშობდა მისი წაკითხვისას გაუგებრობებს. ასე მაგალითად, შესაძლებელი იყო, ტრეფიკინგის დეფინიციის პირველი ნაწილი ჩამოყალიბებულიყო შემდეგი სახით: “ა) ადამიანის მიმართ უკანონო, ბათილი გარიგების გახორციელება, მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლოატაციის მიზნით.“ დეფინიციის ასეთი სახით ჩამოყალიბება გაამარტივებდა მის გაგებას, რადგან უკანონონო და ბათილი გარიგებები სამოქალაქო სამართლის მიხედვით თავის თავში მოიცავენ ამჟამად მოქმედი ტრეფიკინგის დეფინიციის ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებს. კერძოდ, ავტომატურად უკანონო და ბათილია გარიგებები, რომლებიც დადებულია „მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით, იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია“. შესაბამისად, ამ გარემოებების მოხსენიება დეფინიციას მხოლოდ მოცულობაში ზრდის და ართულებს მას. რაც

შეეხება ადამიანის ყიდვა-გაყიდვის არმოხსენიებას, ეს გაპირობებულია იმით, რომ ადამიანი სამოქალაქო სამართლის თანახმად არ შეიძლება იყოს ლეგალური ვაჭრობის ობიექტი და შესაბამისად ეს ქმედებებიც ერთიანდება უკანონო გარიგების ცნების ქვეშ. აღსანიშნავია სისხლის ამართლის კოდექსში 2007 წლის მაისში დამატებული 143(3) მუხლი - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა, რითაც კრიმინალიზირებულია წინასწარი შეცნობით კოდექსის 143(1) და 143(2) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლის ან დაზარალებული პირის ისეთი მომსახურებით სარგებლობა, რომელიც ამავე კოდექსის 143(1) მუხლის თანახმად წარმოადგენს ექსპლუატაციას. 143(3) მუხლის სანქციით დამნაშავე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე. ამ მუხლის არსებობის მიზანშეწონილობა შეიძლება გავამართლოთ მხოლოდ ადამიანთა ტრეფიკინგის პრევენციის მხრივ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მუხლის ცხოვრებაში გახორციელება პირისთვის ბრალის წაყენება და, მით უმეტეს, მტკიცება ძალზედ რთული ამოცანაა, რაც ჯერჯერობით არ გახორციელებულა (საქართველოში არავინ გასამართლებულა ამ მუხლით). ამ მუხლის სარგებლობაზე ლაპარაკია, ასევე, 2010 წლის ამერიკის შეერთებული შტატების „ადამიანთა ტრეფიკინგის 2010 წლის ანგარიშში“[5].

[5] Trafficking in Persons Report 2010. http://www.state.gov/g/tip/rls/tiprpt/2010/index.htm (24.10.2010)

2.2. ტრეფიკინგის ნიშნები

მიუხედავად ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებისა, მისი მასშტაბი კვლავაც დიდია, იგი მოიცავს:

1. უკანონო იმიგრანტთა გაყვანას. რაც ხშირად იძულებითი მონობით მთავრდება.
2. ქალებისა და ბავშვების გაყვანას პროსტიტუციაში ჩასაბმელად.
3. არაკვალიფიციური მუშახელის გაყვანას მონური პირობებით სამუშაოდ.
4. შინამოსამსახურეთა გაყვანას გავითარებადი ქვეყნებიდან.
5. უკანონოდ გაშვილებულ ბავშვთა გაყვანას.
6. ადამიანთა უკანონოდ გაყვანას ტრანსპლანტაციის მიზნით.

გარდა ამ ელემენტებისა, ტრეფიკინგს ახასიათებს ნიშნები:

ა) ქმედება, როდესაც ერთი პირი არღვევს მეორის უფლებებსა და თავისუფლებებს მატერიალური ან სხვა სახის მოგების მისაღებად;

ბ) მსხვერპლთათვის პირადობის დამადასტურებელი საბუთების ჩამორთმევა;

გ) დაკაბალება;

დ) იძულებითი შრომა;

ე) თავისუფლად გადაადგილებისა და ინფორმაციის შეზღუდვა;

ვ) მოტყუება ან ნდობის ბოროტად გამოყენება;

ტრეფიკინგის პროცესი შეიძლება დავყოთ სამ ძირითად სტადიად: გადმობირება, ტრანსპორტირება და ექსპლუატაცია. მასში მონაწილეობენ დანაშაულებრივი ორგანიზაციის შემდეგი წევრები: ორგანიზატორი, გადმომბირებელი, გამცილებელი, მომხმარებელი (ექსპლუატატორი) , შუამავალი, დამხმარე, მფარველი. ამ კარგად ორგანიზებულ პროცესში თითოეულ მათგანს გარკვეული ფუნქცია და პასუხისმგებლობა აკისრია. ორგანიზატორია ე.წ. ავტორიტეტი, რომელიც აკონტროლებს სისტემას. ანაწილებს შემოსავლებსა და იდეოლოგიურად უზრუნველყოფს დანაშაულებრივ ჯგუფს. გადმომბირებელია პირი, რომელიც უშუალოდ კონტაქტში შედის მსხვერპლთან და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით აღწევს მიზანს. გამცილებლის ფუნქციაში შედის საზღვარზე ხალხის გადაყვანის უზრუნველყოფა, შუამავალი არის პირი, რომელიც ამყარებს კავშირს გადმომბირებელს. გამცილებელსა და გამომყენებელს შორის. დამხმარე პირის ფუნქციაში შედის აუცილებელი სახის მომსახურება სხვადასხვა ეტაპზე. ეს შეიძლება იყოს მსხვერპლთა დაცვა, ყალბი დოკუმენტების დამზადება, დანაშაულებრივი კვალის დაფარვა-მოსპობა და ა.შ. გამომყენებელი (ექსპლუატატორი) არის პირი რომელიც უკანონოდ იყენებს ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს. რაც შეეხება მფარველს, იგი უმეტეს

შემთხვევაში სახელისუფლებო სტრუქტურის წარმომადგენელია, რომელიც უზრუნველყოფს მთელ ამ საქმიანობას.

ადამიანით ვაჭრობის სფეროში თავისი ნიშნებით ცალ-ცალკე განხილვის თემაა ქალების ჩაბმა სექსინდუსტრიაში და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა.

ნიდერლანდების არასამთავრობო ორგანიზაციამ („ფონდი ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ') ჩამოაყალიბა ქალთა ტრეფიკინგის შემდეგი ნიშნები:

- საზღვარგარეთ გამგზავრებამდე ქალმა არ იცოდა, რომ მეძავობა მოუწევდა ან არ ჰქონდა სწორი ინფორმაცია იმ პირობების შესახებ, რომელშიც მოუწევდა მუშაობა;
- ქალი მოკლებულია შესაძლებლობას, უარი თქვას მეძავობაზე;
- ქალის მიერ გამომუშავებულ თანხას იღებს მესამე პირი;
- ქალი ხელფეხშეკრულია ვალით, რომლის გადახდამდე არ უბრუნებენ დოკუმენტებს და ვერც საქმიანობას წყვეტს;
- ქალი სისტემატიური კონტროლის ქვეშაა;
- ქალს შეზღუდული აქვს გადაადგილებისა და სხვა პირთან ურთიერთობის შესაძლებლობა;
- ქალი უძლურია, უარი თქვას სხვადასხვა პირის მომსახურებაზე ან სექსუალური კონტაქტის ცალკეულ სახეზე.

კრიმინოლოგები გამოყოფენ სექსვაჭრობაში ჩაბმულ ქალთა ოთხ ტიპს:

1. ვინც მოტყუებით აიძულეს, ამ სფეროში ემუშავათ;
2. ვისაც გადმომბირებლებმა ნაწილობრივ სიმართლე უთხრეს მომავალი საქმიანობის შესახებ;
3. ვისაც სწორი ინფორმაცია მიაწოდეს მომავალი საქმიანობის (თუნდაც კლიენტთან ურთიერთობის სხვადასხვა ფორმის) შესახებ, მაგრამ არ აქვს გამოსავალი და იმედოვნებს, რომ უკეთეს პირობებში მოხვდება;
4. მეოთხე ტიპის ქალებს ზუსტი ინფორმაცია აქვთ მომავალი საქმიანობის შესახებ (შესაძლებელია, გადმომბირებელზე მეტიც), არ განიცდიან უხერხულობას თავიანთი მოვალეობის შესრულებისას, თვითონ აკონტროლებენ და განკარგავენ შემოსავალს.

ტრეფიკერები სექსინდუსტრიაში აბამენ ახალგაზრდა ემიგრანტებს:

- უმეტეს შემთხვევაში, ტრეფიკირებულები არ იმყოფებიან ქორწინებაში ან ცხოვრობენ ცალკე;
- ბევრ მათგანს აქვს საზღვარგარეთ ცხოვრების გამოცდილება;
- ნაწილი პირველად მიდის და ბრმად ენდობა ტრეფიკერს;
- ტრეფიკინგის უმეტეს მსხვერპლად რეგიონის მცხოვრებლები გვევლინებიან;
- მსხვერპლთ აქვთ დაბალი განათლება და ვერ ერკვევიან თავიანთ უფლებებში.

ტრეფიკერებმა გარკვეული მეთოდები შეიმუშავეს სექსინდუსტრიაში ქალების ჩასაბმელად. ისინი მიმართავენ არაოფიციალურ საროსკიპოებში მომუშავე პროფესიონალ მეძავებს და სთავაზობენ საზღვარგარეთ ბიზნესის გაგრძელებას.

- გადმომბირებლები ქალიშვილებს ჰპირდებიან მოდელებად, ოფიციანტებად, მოცეკვავეებად და მოსამსახურეებად მუშაობას, შემდგომ ნებაყოფლობით ან ძალდატანებით აბამენ პროსტიტუციაში;
- ტრეფიკერები აქცენტს აკეთებენ იმ გოგონებზე, ვინც ბანკის ან კერძო პირის მოვალეა. მათ აიძულებენ, ჩაებან პროსტიტუციაში და ამ გზით გადაიხადონ ვალი;
- ტრეფიკერები გოგონებს აჩვევენ ნარკოტიკებს, გაჰყავთ საზღვარგარეთ და ნარკოტიკების სანაცვლოდ აიძულებენ ჩაებან პროსტიტუციაში;
- პრაქტიკაში გამოვლინდა შემთხვევა, როდესა ე.წ. რელიგიური მიზნით ქმნიან სექტების მსგავს ჯგუფებს, ჯგუფის წევრები მოტყუებით გაჰყავთ საზღვარგარეთ და შემდეგ აიძულებენ, ჩაებან პროსტიტუციაში ან მონურ სამუშაოში;

ჩვენს სინამდვილეში შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ ქალთა სამი ტიპი:

1. იძულებით გაყვანილნი;
2. მოტყუებულნი;
3. საკუთარი სურვილით გასულნი.

ასე მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციამ „ხალხთა ჰარმონიული განვითარების ფონდი“ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას შეატყობინა ასეთი შემთხვევა: 15 წლის გოგონა (ქუთაისიდან) საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ მეზობელმა წაიყვანა ტრაპიზონში. გოგონა მიიყვანა სასტუმროში, აიძულეს მეძავად ემუშავა, მიჰყიდეს სასტუმროს პატრონს 2000 დოლარად. 10 დღის შემდეგ, გოგონა გაიქცა სასტუმროდან, მოახერხა ტრაპიზონში საქართველოს საკონსულო სამსახურთან დაკავშირება. თურქეთის პოლიციამ დააკავა სასტუმროს მეპატრონე, ხოლო სავიზო რეჟიმის დარღვევაში ამხილა საქართველოს მოქალაქე 9 ქალი, რომლებიც მოტყუებით გაიყვანეს თურქეთში სამუშაოს მოცეკვავის მიცემის მოტივით. ჩასვლისთანავე, ქალებს ჩამოართვეს პასპორტები და აიძულეს მეძავებად ემუშავათ.

ისრაელში რამდენიმე წლის წინ ბორდლში აღმოაჩინეს საქართველოს მოქალაქე 5 ქალი, რომლებიც საკუთარი ინიციატივითა და სურვილით ჩაერთვნენ პროსტიტუციის ბიზნესში ფულის მოსაგროვებლად.

რაც შეეხება ადამიანით ვაჭრობას, არსებობს სხვა მეთოდებიც, როგორებიცაა: ძალადობა, დაშინება, სისასტიკე, რომელთა გამოყენებით, ტრეფიკერები აღწევენ თავიანთ მიზნებს.

„ნუ გახდებით მონა, თქვენ ნივთი არ ხართ“, „იყავით ფრთხილად! ნუ ენდობით უცნობებსა და საეჭვო რეპუტაციის ადამიანებს, როდესაც უცხოეთში წასვლის გადაწყვეტილებას მიიღებთ“ - ამ მოწოდებით მიმართა თანამემამულეებს ვინმე მ. ალფაიძის მიერ თურქეთის რესპუბლიკაში 2000 დოლარად გაყიდულმა ქართველმა ქალმა ტელევიზიით გამოსვლისას.[6]

მონაცემების მიხედვით, ადამიანით მოვაჭრეები ქალებიც არიან და მამაკაცებიც. ქალი ექსპლუატატორები ძირითადად სექსუალურ ექსპლუატაციაში ჭარბობენ, იძულებით შრომაში კი მამაკაცები. ქალი რეკრუტერები თავად ყოფილი სექს მუშაკები არიან, რომლებსაც ახლა სხვები მიჰყავთ ძირითადად თურქეთში და ხანდახან არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში. მამაკაცი რეკრუტერები ძირითადად მსხვერპლების ქმრები, საქმროები ან ნათესავები არიან. საქართველოს მთავრობის მონაცემებით, ადამიანით მოვაჭრეები ძირითადად ქართველები და თურქები არიან, ხოლო მსხვერპლები ძირითადად ქართველები და უზბეკები არიან. ყირგიზი ეროვნების პირები გამოავლინეს თურქეთის საზღვარზე ქალების და ბავშვების გადაყვანისას სექსუალური ექსპლუატაციის (ან კონტრაბანდის) მიზნით, ასევე ყირგიზი ეროვნების პირების საქართველოში შემოყვანისას ასევე სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით. სამართალდამცავებისთვის პრობლემას ქმნიდნენ საქართველოსა და თურქეთის ორმაგი მოქალაქეების მქონე რეკრუტერები. ორმა რესპოდენტმა დაადასტურა, რომ ადამიანით ვაჭრობა ორგანიზებული დანაშაული არ არის.[7]

---

[6] ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2006 წ., გვ. 40

[7] საჭიროებათა შეფასება, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში, თბ., 2016 წ., გვ. 17

2.3. ტრეფიკინგის სახეები და ფორმები

ტრეფიკინგის ფორმები უშუალოდ უკავშირდება კრიმინალური ექსპლუატაციის სახეებს.

კრიმინალური ზეწოლა იყოფა შემდეგ სახეებად:

ა) ფიზიკური იძულება;

ბ) ეკონომიკური დაკაბალება;

გ) ფსიქიკური იძულება;

დ) სამართლებრივი დამოკიდებულება;

ე) მონობა და მასთან გაიგივებულ მდგომარეობაში ჩაყენება;

მსხვერპლი განიცდის შემდეგი სახის კრიმინალურ ექსპლუატაციას:

ა) შრომის ექსპლუატაციას შინ მომსახურების სფეროში;

ბ) შრომის ექსპლუატაციას წარმოაებისა და სოფლის მეურნეობის სფეროში;

გ) შრომის ექსპლუატაციას კრიმინალური ბიზნესის სფეროში;

დ) პიროვნების ექსპლუატაციას სექსინდუსტრიაში;

ე) ადამიანის ფიზიოლოგიური პარამეტრების ექსპლუატაციას ორგანოების ან ქსოვილების ტრანსპლანტაციისათვის;

ვ) სუროგატ დედებად ქალების გამოყენებას.

ტრეფიკერს ადამიანები (განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალები და ბავშვები) მოტყუებით მიჰყავს სხვადასხვა ქვეყნებში ან ქვეყნის შიგნით რომელიმე რეგიონში და ყიდის მათ. საქართველოშიც არსებობს თითქოს ოფიციალურა დდარეგისტრირებული და ლეგალური სხვადასხვა დასახელების ორგანიზაციები, როგორებიცაა: მოდელების, სამოგზაურო სააგენტოები, საზღვარგარეთ შრომითი მოწყობის სამსახური, ბავშვთა მომვლელების „აუპაირ“ სამსახური, სტუდენტი-ახალგაზრდების გაცვლის სააგენტო, ადამიანთა გაცნობის ადგილობრივი და საერთაშორისო სამსახური, რომლებიც ეწევიან მსგავს საქმიანობას. უკანასკნელ ხანს, საინფორმაციო საშუალებებში გაჩნდა განცხადებები, თითქოს აშშ-ში ნიუ-იორკში ტერორისტული აქტების შედეგად დანგრეული მსოფლიო სავაჭრო ცენტრის, მანჰეტენის მშენებლობაზე მუშებსა და სპეციალისტებს იწვევენ. ეს კი ახალი მსხვერპლის ხელში ჩასაგდებად გამიზნული ადამიანით მოვაჭრეების მორიგი ხრიკი იყო. კრიმინალური დაჯგუფებები ამგვარი თაღლითობით ახერხებენ ადამიანთა ნდობის მოპოვებას, საამისოდ იყენებენ ნათესავებს, მეზობლებს, თანამშრომლებს, ნაცნობ-მეგობრებს. შედეგად, მოტყუებულები არალეგალურ „მონურ“ პირობებში ხვდებიან. ქალებს და ბავშვებს (ხშირად მამაკაცებსაც) ე.წ. დამქირავებლები აიძულებენ, ხელი მიჰყონ პროსტიტუციას დაბალანაზღაურებად (შესაძლოა, საერთოდ აუნაზღაურებელ) შავ სამუშაოს, რისთვისაც

დამნაშავეებს აპრობირებული მეთოდები გააჩნიათ: დოკუმენტების ჩამორთმევა, სავალო კაბალა, ფიზიკური შეურაცხყოფა, ფსიქოლოგიური ძალდატანება, იზოლაცია, ფიქტიური ხელმოწერა (ქორწინება), ყალბი ვიზების გაფორმება და ა.შ.

ამა თუ იმ ქვეყანაში ჩაყვანისთანავე, ასეთ ადამიანებს ართმევენ საბუთებს. ბუნებრივია, უსაბუთო, ენის, ქვეყნის, უცოდინარი პიროვნება მიჯაჭვულია ე.წ. ახალ „პატრონზე“ და უსიტყვოდ ემორჩილება მის ნებისმიერ მოთხოვნას. ასე მაგალითად, გამოკითხულთა შორის 56 პირმა (46%-მა) განაცხადა, რომ ტრეფიკერებს გადასცა საკუთარი პასპორტი მგზავრობისა და საზღვარგარეთ ყოფნის მთელ პერიოდში. მათმა ნახევარმა (21%-მა) დოკუმენტები უკან ვეღარ მიიღო. გარდა ამისა, უფორმებენ ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ხელფასიდან ხანგრძლივად ექვითება ის გაწეული ხარჯები, რომელიც ე.წ. დამქირავებელმა გაიღო. ეს შეიძლება იყოს ვიზის ღირებულება, გზის ხარჯები, გარდა ამისა, სპეციალური ტექნიკის საშუალებით აფიქსირებენ ისეთ მასალას, რომელსაც შეუძლია პირის კომპრომეტირება, ემუქრებიან ამ მასალების გამოაშკარავებით. ხშირად მიმართავენ მათ მიმართ ფიზიკურ ძალადობას და ა.შ. (გასათვალისწინებელია ისიც, რომ გერმანიისა და შვეიცარიის კანონმდებლობები არ კრძალავს არაგერმანელის და არაშვეიცარიელის ოფიციალურ ქორწინებაში მყოფის ბორდელების გზით პროსტიტუციაში ჩაბმას).

დამნაშავეთა ამ ჯგუფებს კარგად აქვთ დამუშავებული ფსიქოლოგიური ძალდატანების მეთოდები. ისინი თითოეულ პირზე ამომწურავ ინფორმაციას ფლობენ, ამიტომ დასაშინებლად აქტიურად იყენებენ მუქარას, შანტაჟს (მაგ. ბავშვის გატაცება, ოჯახის განადგურების მუქარა) და ა.შ. ამას ხელს უწყობს საელჩოებთან იმედგაცრუებული ადამიანების რიგები, რაც უიოლებთ ტრეფიკერებს, ადვილად შეარჩიონ პოტენციური „მონა“. აქედან გამომდინარე, ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული დანაშაულის ზრდის ტენდენცია გასაგებია, მიზეზი კი - მარტივი. მსოფლიო ბაზარზე მონურ ექსპლუატაციაზე მუდმივი მოთხოვნილებაა და დიდი მოგებაც მოაქვს. ყოველწლიურად, მსოფლიო მასშტაბით, მილიონობით ადამიანი ხდება არალეგალური ვაჭრობის მსხვერპლი, ამას დანაშაულებრივი სინდიკატისათვის 17 მილიარდამდე აშშ დოლარის შემოსავალი მოაქვს. დაახლოე ით ასეთ სარგებელს იძლევა მიგრანტთა არალეგალური გადაყვანა საზღვარზე, რაც „თანამედროვე მონობის“ ფორმად განიხილება.

„ადამიანით ვაჭრობის ბიზნესი დამნაშავეთა სამყაროსთვის „მიმზიდველი“ საქმიანობაა. ზოგიერთი საერთაშორისო დანაშაულებრივი დაჯგუფება მას ნარკოტიკებით ვაჭრობასთან შედარებითაც კი უპირატესობას ანიჭებს.[8]

[8] ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2006 წ., გვ. 43

2.4. ტრეფიკინგი - მიზეზები და შედეგები

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მეტად ღრმა ისტორიული ფესვები აღმოაჩნდა. მან, მოყოლებული მონათმფლობელური წყობილებიდან დღემდე, მეტ-ნაკლები სიმძაფრით, ყველა საზოგადოებაში იჩინა თავი. ტეეფიკინგი კაცობრიობის განვითარების ისტორიის ისეთი სიცოცხლისუნარიანი და თანამდევი მოვლენა აღმოჩნდა, რომელმაც 21-ე საუკუნის მსოფლიოსაც კი სერიოზული საფიქრალი გაუჩინა. მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნის მსოფლიომ აღიარა ადამიანის თავისუფლება, აკრძალა ყველა სახის მონობა და მონებით ვაჭრობა, გამოაცხადა შრომის თავისუფლება და იძულებითი შრომის დასჯადობა,[9] ადამიანით ვაჭრობა გასცდა ლოკალურ ფარგლებს და ტრანსნაციონალურ დანაშაულად იქცა. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება, გავრცელების არეალის თვალსაზრისით, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ, მესამე ადგილზეა და მილიარდობით მოგება მოაქვს ამ კრიმინალური ბიზნესით დაკავებული პირებისათვის.[10]

კრიმინალური ორგანიზაციები ყოველწლიურად მილიონზე მეტი ადამიანის არალეგალურ ექსპორტს ახორციელებენ ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარ ქვეყნებში. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული დანაშაული სულ უფრო მზარდ მასშტაბებს იძენს და უფრო მეტად ორგანიზებული ხდება. ამასთან, კრიმინალური დაჯგუფებების უფრო მეტი და მეტი რაოდენობა ნარკოტიკებით ვაჭრობიდან გადადის ადამიანით ვაჭრობაზე, რადგან ადამიანთა ექსპლუატაციისას, ნარკობიზნესისაგან განსხვავებით, მცირეა დანახარჯები, ის არ არის დაკავშირებული დამზადება-გადამუშავებასა და სხვა მსგავს პროცესებთან (რაც ნარკოტიკების მიღებას სჭირდება), დიდია მოგება და დაბალია დასჯადობის რისკი.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანებით ვაჭრობა უფრო მომგებიანი და შედარებით უსაფრთხო ბიზნესია კრიმინალებისათვის, ვიდრე ნარკობიზნესი, რამაც ხელი შეუწყო მის გავრცელებას. აქედან გამომდინარე, ადამიანით ვაჭრობის ფაქტებს ვერც საქართველო ასცდა. ეს მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულის საერთაშორისო მოვლენებმა განაპირობა. კერძოდ ისეთებმა, როგორებიც იყო საბჭოთა კავშირის დაშლა, საზღვრების გახსნა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რომელშიც ადამიანები

---

[9] საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2005 წ.; საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, თბ., 2004 წ.; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წ.; ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, 1950 წ.; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ; კონვენცია იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ; კონვენცია ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ, 1979 წ.; კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და მისი დამატებითი ოქმი, პალერმო, 2000 წ.

[10] А. Дьяченко, Ответственность за сексуальную эксплуатацию женщин и детей, Уголовное право, 2003, №2, стр. 22

ქვეყნის დაშლის შედეგად აღმოჩნდნენ. შესაბამისად, ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებიდან ემიგრირებულთა დიდი ნაკადი წარმოიშვა, რამაც ადამიანით ვაჭრობას მანამდე არნახული მასშტაბები შესძინა. პოსტსაბჭოურ სივრცეში, უკრაინის შემდეგ, საქართველომ მეორე ადგილი დაიკავა ტრეფიკინგის გავრცელების თვალსაზრისით. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები მომავლისათვის“ მიერ 2003 წელს ჩატარებული კვლევებით დადგინდა, „ჩვენს ქვეყანაში ყველა წინაპირობა არსებობს ტრეფიკინგის გავრცელებისათვის. პირველ რიგში, ეს არის მოსახლეობის მასობრივი გაღარიბება და ამის საფუძველზე გაჩენილი ეკონომიკური მიგრაცია. მიგრანტთა უმრავლესობა ქალები არიან, რადგან, ძირითადად, მათ კისერზე გადადის ოჯახის რჩენის პრობლემა. კრიზისულმა მდგომარეობამ, რომელშიც ჩვენი მოქალაქეები იმყოფებიან, გამოიწვია თავდაცვის შესუსტება, ქალთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესება. პრინციპით „ამაზე უარესი არ იქნება“ - ქალები ეთანხმებიან ყველანაირ ავანტიურულ წინადადებას და არ ფიქრობენ მათ შედეგებზე“.[11]

ტრეფიკინგი, რომელიც ადამიანის ექსპლუატაციას მოიცავს, გულისხმობს მისი იძულებითი შრომის გამოყენებას ნებისმიერ საქმიანობაში, რომელიც ადამიანს მოიაზრებს, როგორც ნივთს. ამ დროს ადგილი აქვს ადამიანის არა მხოლოდ ყიდვა-გაყიდვას, არამედ ქალის პროსტიტუციის ექსპლუატაციას, პროსტიტუციის იძულებას, საზღვარგარეთ ქორწინებას, სექს-ტურიზმს. ასევე, ადგილი აქვს ამ ადამიანების, როგორც იაფი მუშახელის, გამოყენებას.

თანამედროვე მსოფლიო ტრეფიკინგთან დაკავშირებული ქვეყნების სამ ჯგუფს გამოყოფს. ესენია: მიმწოდებელი ქვეყანა, მიმღები ქვეყანა და ტრანზიტული ქვეყანა. მიმწოდებელია ქვეყანა, რომელშიც ადამიანი ცხოვრობდა, სანამ იგი წავიდოდა მიგრაციაში ან გახდებოდა ტრეფიკინგის მსხვერპლი. მიმღებია ქვეყანა, რომელშიც მოხდა ქვეყნის მიგრაცია ან მისი ტრეფიკინგი. ტრანზიტულია ქვეყანა, რომლის გავლითაც ხდება მსხვერპლის გადაყვანა მიმწოდებელი ქვეყნიდან მიმღებ ქვეყანაში და სადაც, უმეტეს შემთხვევაში, ხდება ვიზის, სამგზავრო თუ საქორწინო დოკუმენტაციის არალეგალური გზით მოპოვება.[12]

ადამიანით ვაჭრობამ, რომელიც უკვე კარგა ხანია გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს, საქართველოშიც ფართოდ მოიკიდა ფეხი და აქცია მიმწოდებელ ქვეყნად, ქართველი კანონმდებელი აიძულა, შესაბამისი ზომები მიეღო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეწესებინა აღნიშნული ქმედებისათვის. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავს 2003 წლის ივნისში

[11] ტრეფიკინგი, საინფორმაციო ბიულეტენი, №5, 2003 წ., გვ. 3
[12] იქვე, გვ. 3

დაემატა 143-ე მუხლი, რომელიც მკაცრ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს ადამიანით ვაჭრობისათვის[13]. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის 172-ე მუხლიდან, რომელიც პასუხისმგებლობას აწესებდა არასრულწლოვნით ვაჭრობისათვის, ამოიღეს არასრულწლოვნით ვაჭრობა და იგი დამოუკიდებელ შემადგენლობად, 143-ე მუხლის სახით, შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში.[14]

[13] ტრეფიკინგი, საინფორმაციო ბიულეტენი, №3, 2003 წ., გვ. 3
[14] იქვე, გვ. 4

2.5. საქართველოში ტრეფიკინგის გავრცელების სტატისტიკური მონაცემები

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ 2005 წელს მთელი რიგი ღონისძიებები გატარდა ტრეფიკინგთან წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. აქვე აღნიშნულია, რომ საქართველოში იმატა სახელმწიფოს ძალისხმევამ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, ასევე იმატა ეჭვმიტანილთა დაკავების რაოდენობამ, მიუხედავად ამისა, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მაინც არ შეინიშნებოდა პროგრესი, ვინაიდან ნაკლებად დაისაჯნენ დამნაშავეები.

2005 წელს, საქართველოში სულ 27 საქმე აღიძრა და აქედან მხოლოდ 9 გადაეცა სასამართლოს, განაჩენი გამოტანილ იქნა მხოლოდ 3 სისხლის სამართლის საქმეზე და მსჯავრდებული იქნა მხოლოდ 9 ადამიანი. აქედან ორს მიესაჯა 5 წელი, ხოლო დანარჩენი პირები გათავისუფლდნენ პირობითი მსჯავრით. ტრეფიკინგის ფაქტზე 2006 წლის პირველ ნახევარში გამოძიება დაიწყო 9 სისხლის სამართლის საქმეზე, 4 სისხლის სამართლის საქმე გაიგზავნა სასამართლოში, ხოლო განაჩენი დადგა 1 სისხლის სამართლის საქმეზე.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს ანტი-ტრეფიკინგის საკითხებზე საუწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც მხოლოდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, ეუთოს მისიასთან საქართველოში, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციასთან, ასევე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობა არასაკმარის ზომებს იღებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დასაცავად და დასახმარებლად (მაშინდელი მონაცემებით). ამიტომ, საქართველოში დაბრუნებული ბევრი ტრეფიკინგის მსხვერპლი უარს ამბობს მოწმედ გამოსვლაზე, რაც ხელს შეუწყობდა დანაშაულის გახსნას. ანგარიშში ასევეა აღნიშნული, რომ საქართველო არის ქალების, ბავშვებისა და მამაკაცების ტრეფიკინგის როგორც წყარო, ასევე ტრანზიტი სახელმწიფო (ტრეფიკინგის შემთხვევები ხდება მასზე გავლით). უკრაინიდან, მოლდავადან, რუსეთიდან და პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლთა გადაყვანა ძირითადად თურქეთში, საბერძნეთსა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. საქართველოს მოქალაქეები უმეტესად თურქეთში გადაჰყავთ, რაც გაპირობებულია საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული გაიოლებული სასაზღვრო რეჟიმით. IOM (International Organization of Migrant) მონაცემების თანახმად, ყოველწლიურად სულ მცირე 500 ქართველი ქალია ტრეფიკინგის

მსხვერპლი. [15] ასევე არის ტრეფიკინგის შემთხვევები ქვეყნის შიგნით, რაც გამოიხატება როგორც სექსუალურ ექსპლუატაციაში, ასევე იძულებით შრომაში. ტრეფიკინგის გადაყვანის ფაქტებია დაფიქსირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სწორედ ეს არაკონტროლირებადი ტერიტორიები აღმოჩნდა არაერთხელ ტრეფიკინგის სატრანზიტო გზა.

მოქალაქეთა რეადმისიისა და ტრეფიკინგის პრობლემებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ხშირ შემთხვევაში, რეადმისიის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებების დადება განიხილება როგორც წინაპირობა და პირველი ნაბიჯი სხვა ქვეყნებთან შრომითი უფლებებისა და კანონიერი დასაქმების თაობაზე ორმხრივი ხელშეკრულების დადების მიმართულებით. ჯერ კიდევ წლების წინ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მომზადდა ორმხრივი ხელშეკრულება რეადმისიის შესახებ, რომელშიც ერთ პაკეტად არის გაერთიანებული შრომითი მიგრანტების, სამართლებრივი ურთიერთდახმარების, მოქალაქეების ურთიერთმგზავრობის შესახებ შეთანხმებები და საკონსულო კონვენცია. ქვეყნის სახელით რეადმისიის ხელშეკრულება გაფორმებულია იტალიასთან (1997), ბულგარეთთან (2002), უკრაინასთან (2003), შვეიცარიასთან (2005). ამჯერად ევროპაში მოქმედებს უვიზო რეჟიმი, რაც თავის წესებს მოიცავს და მათი დარღვევა კვლავ არალეგალურად დარჩენას გულისხმობს, რაც უკვე ტრეფიკინგის შემთხვევებს თავისთავად გაზრდის.

[15] თ. ონიანი, ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში, თბ., 2009 წ., გვ. 9

თავი III. ტრეფიკინგი და საერთაშორისო კანონმდებლობა

3.1. ადამიანით ვაჭრობა საერთაშორისო სამართლის მიხედვით

პრეისტორია. ადამიანით ვაჭრობის - ტრეფიკინგის ცნების ჩამოყალიბებას და მის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობას საერთაშორისო მასშტაბით საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. 1904 წლიდან, საერთაშორისო საზოგადოება ცდილობს არსებული ცოდნის შეჯერებას, ადამიანთა ტრეფიკინგის გამოცანის ნაწილების თავმოყრას, შემეცნებასა და მის ამგვარად ამოხსნას.

საერთაშორისო საზოგადოებამ, ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების გახორციელების საწყის ეტაპზე, იხელმძღვანელა სეგმენტური მიდგომით, უფლებადაცვითი ღონისძიებები გაატარა მიზნობრივი ჯგუფების დასაცავად (როგორიც იყო თეთრი კანისფერის ქალები) და ადამიანთა ტრეფიკინგის გამოვლინების ზოგიერთი ფორმის წინააღმდეგ, ისეთის, როგორიცაა მაგალითად სექს-ტრეფიკინგი, ხოლო შემდეგ, ეტაპობრივად, ადამიანთა ტრეფიკინგზე არსებული ცოდნისა და მის წინააღმდეგ მოქმედების შესაძლებლობის გაძლიერებასთან ერთად, მოიცვა თანამედროვე გაგებით ადამიანთა ტრეფიკინგის ცნებაში არსებული სულ უფრო მეტი ელემენტები[16].

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შეჯერებული და საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიციის არსებობის მიუხედავად, ადამიანით ვაჭრობის ცნების ჩამოყალიბების პროცესი დასრულებულად არ მიიჩნევა. კვლავაც აღმოჩნდება ადამიანთა ტრეფიკინგის ის ახალი, აქამდე უცნობი ნიშან-თვისებები თუ გამოვლენის ფორმები, რომლებიც დღეს მოქმედი დეფინიციის გადახედვის ვალდებულებას მომავალშიც წარმოშობენ, რაც ევოლუციური პროცესია და დამახასიათებელია ნებისმიერი მეცნიერებისათვის, თავად მკვლევრები კი ვალდებულნი არიან, არ ჩამორჩნენ შესასწავლი მოვლენის განვითარებას. საერთაშორისო სამართლის აქტებს, რომლებიც ეხება ადამიანთა ტრეფიკინგის პრობლემას, სადაც გადმოცემულია ამ აქტების შემუშავების პერიოდისთვის ადამიანთა ტრეფიკინგზე არსებული მსოფლმხედველობა და შესაბამისად შეიძლება შევიქმნათ წარმოდგენა აქტების გამოცემის დროისთვის ადამიანთა ტრეფიკინგის დეფინიციასთან დაკავშირებით, წარმოადგენენ:

- 1904 წლის 18 მაისის საერთაშორისო ხელშეკრულება „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“;

[16] Morehouse Christal.Combating human trafficking: policy gaps and hidden political agendas in the USA and Germany, 2009

- 1910 წლის საერთაშორისო კონვენცია „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“;
- 1921 წლის 30 სექტემბრის საერთაშორისო კონვენცია „ქალებით და ბავშვებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ“;
- 1926 წლის კონვენცია „მონობის შესახებ“;
- 1930 წლის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია „იძულებითი შრომის შესახებ“;
- 1933 წლის 11 ოქტომბრის საერთაშორისო კონვენცია „სრულწლოვანი ქალებით ვაწრობის წინააღმდეგ“;
- 1948 წლის 10 დეკემბრის გაეროს „ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია“;
- 1949 წლის ჟენევის კონვენცია „ადამიანებით ვაჭრობისა და მესამე პირის მიერ პროსტიტუციის აქსპლუატაციასთან ბრძოლის შესახებ“;
- 2000 წლის 15 ნოემბერს მიღებული გაეროს კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ და მისი დამატებითი ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“, მიღებული 2000 წლის 12 დეკემბერს;
- „ევროპული კონვენცია ადამიანებით უკანონო ვაწრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“
- ევროსაბჭოს კონვენცია, მიღებული ვარშავაში 2005 წლის 16 მაისს.

მოცემული დოკუმენტები სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი მოწყობისა და პირობების გათვალისწინებით შეიქმნა. პირველი ორი დოკუმენტი წარმოადგენს „კონსოლიდირებული შეთანხმების“ ნიმუშს - ქვეყნებს შორის დადებული შეთანხმების სახეს, რომელიც გავრცელებული იყო 1648 წლის ვესტფალიის შეთანხმებიდან 1919 წლამდე - ერთა ლიგის შექმნამდე 270 წლიან პერიოდში, რომელიც „ძველი დიპლომატიის“ ხანად არის ცნობილი. ამ დროს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები ხორციელდებოდა და მათი მთავარი ნიშანი იყო რეზიდენტი ელჩების (პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მიმღებ სახელმწიფოში, უშუალოდ არიან საქმის კურსში იქ არსებულ ვითარებაზე და საჭიროების შემთხვევაში მათი წარმოშობის სახელმწიფოს ინტერესებს ახორციელებენ) უშუალო და ექსკლუზიური მოღვაწეობა ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და საერთაშორისო შეთანხმებების დადების პროცესში.[17]

1904 წლის „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“ ხელშეკრულება წარმოადგენს ევროცენტრულ დოკუმენტს. მისი ინიციატორები არიან ევროპის ქვეყნები, რადგან იმ დროისათვის ევროპა ითვლებოდა ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლთა წარმოშობისა და მათი ექსპლუატაციის

[17] Karl J. Schmidt. 1999. The League of Nations - from Revolution to Reconstruction

რეგიონად, რაც სექსუალური ექსპლუატაციის ფორმას იღებდა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები ამ შეთანხმებას 1908 წელს შეუერთდა. ეს ხელშეკრულება ეხებოდა მხოლოდ გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს - ევროპული რასის ადამიანებს. ის იცავდა მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს და მხოლოდ სექსუალური ექსპლუატაციის სფეროს ეხებოდა. ამ ხელშეკრულებით ქვეყნები ვალდებულებას იღებდნენ - შეექმნათ ქალთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ საერთაშორისო კოორდინაციისათვის პასუხისმგებელი ორგანო, აღეკვეთათ საეჭვო ქალების გადასვლა საზღვარზე, რისთვისაც უნდა ეწარმოებინათ რკინიგზის სადგურების, პორტებისა და სხვა თავშეყრის ადგილების კონტროლი და ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლა საეჭვო პირებზე, მოეხდინათ იმ ქალების რეპატრიაცია, რომლებიც სურვილს გამოთქვამდნენ, დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სამშობლოში და თუ მათ საამისო სახსრები არ გააჩნდათ, სახელმწიფოებს ავალდებულებდა, მოეხდინათ მგზავრობის დაფინანსება[18].

1910 წლის „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“ კონვენცია, ისევე, როგორც 1904 წლის შეთანხმება, ეხებოდა მხოლოდ ევროპის ქვეყნებსა და მის კოლონიებს. ამერიკის შეერთებული შტატები არ წამოადგენდა ამ კონვენციაზე ხელმომწერ მხარეს (განსხვავებით 1904 წლის ხელშეკრულებისაგან). 1910 წლის კონვენციის თანახმად, ქვეყნები ვალდებულნი იყვნენ, დაესაჯათ პიროვნება, რომელიც სექსუალური ექსპლუატაციისთვის გამოიყენებდა ქალს ან 20 წლამდე გოგონას, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე მოხდებოდა ამ სახის ქმედების განხორციელება, ან ქმედების ნაწილი და რა ხერხებს გამოიყენებდა დამნაშავე - მოტყუებას, ფიზიკურ ზეწოლას თუ მის ნებაყოფლობით თანხმობას. ქვეყნები (კონვენციის თანახმად) ვალდებულნი იყვნენ, კანონმდებლობაში შეეტანათ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულის დასასჯელად საჭირო ცვლილებები.[19]

1919 წლიდან, ერთა ლიგის ჩამოყალიბების შემდეგ, საერთაშორისო სამართლის დოკუმენტების შექმნა დაიწყო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით. 1921 წლის ერთა ლიგის ფარგლებში მიღებულმა საერთაშორისო კონვენციამ „ქალებით და ბავშვებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ“ გააფართოვა ადამიანთა ტრეფიკინგთან ბრძოლის გეოგრაფიული ფარგლები, მოიცვა თითქმის ყველა ქვეყანა, მაგრამ აშშ-მა კვლავაც თავი შეიკავა მის ხელმოწერაზე. 1921 წლის კონვენცია არ ეხებოდა ყველა ადამიანს განურჩევლად სქესისა და ასაკისა და მოიცავდა მხოლოდ მდედრობითი სქესის უფროსი თაობის წარმომადგენლებს, მაგრამ 1910 წლის

[18] International Agreement for the Suppression of the "White Slave Traffic," 18 May, 1979; http://www1.umn.edu/humanrts/instree/whiteslavetraffic1904.html

[19] „White Slave Traffic," May 4, 1949; http://www1.umn.edu/humanrts/instree/whiteslavetraffic1910.html

კონვენციისაგან განსხვავებით, უკვე ორივე სქესის 22 წლამდე ახალგაზრდებს მოიცავდა. მანამდე არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, 1921 წლის კონვენციით, ქალებისა და ბავშვების საერთაშორისო გადაადგილების დაცულობა და კონტროლი სავალდებულო იყო არა მხოლოდ უშუალოდ სადგურებსა და პორტებში, როგორც ეს 1904 წლის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, არამედ მოძრავ ხომალდებზეც და მატარებლებზეც მთელი მგზავრობის განმავლობაში, რაზეც სავალდებულო კონტროლი წესდებოდა.[20]

მონობასთან ბრძოლის საქმეში მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრა 1926 წლის კონვენციას „მონობის შესახებ", რომლითაც მხარეები თანხმდებოდნენ, რომ შეეცდებოდნენ მონობის ყველა გამოვლენის აღმოფხვრას. აქ ჩამოყალიბებული მონობის დეფინიცია გახდა ადამიანთა ტრეფიკინგის თანამედროვე დეფინიციის საფუძველი. აღნიშნული კონვენციის პირველ მუხლში მონობა განმარტებულია, როგორც ადამიანის მდგომარეობა, რომლის მიმართაც გამოიყენება კერძო საკუთრებისთვის დამახასიათებელი ძალაუფლება, ხოლო იმავე მუხლის მეორე აბზაცი „მონობით ვაჭრობა" განმარტებულია, როგორც ყოველგვარი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის შენაძენთან ან მის ხელში სხვაგვარად ჩაგდებასთან ან მის განკარგვასთან. აგრეთვე, ზემოთ აღნიშნულის გახორციელებისთვის ჩადენილი ყოველგვარი მოქმედება - გადაზიდვა, გაცვლა, მოტყუება, ყიდვა-გაყიდვა ითვლება მონებით ვაჭრობად. ამ კონვენციის თანახმად, ქვეყნებს ეკისრებათ ვალდებულება, აკრძალონ ადამიანებით ვაჭრობა, მონათმფლობელობა, ვალდებულნი არიან, გააკონტროლონ თავიანთი ტერიტორიული წყლები და საჰაერო სივრცე, რათა აღიკვეთოს მონების ტრანსპორტირება.[21]

უკვე შემდგომი, 1930 წლის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია „იძულებითი შრომის შესახებ", კრძალავს ყოველგვარ იძულებით შრომას, ადგენს სახელმწიფო ორგანოების მიერ იძულებითი შრომის გამოყენების ფარგლებს და გამოყენების სფეროებს, კრძალავს მდედრობითი სქესისა და არასრულწლოვნების იძულებით შრომას. კონვენცია სახელმწიფოს მიერ კანონიერების ფარგლებში გამოყენებული იძულებითი შრომის - საომარი მდგომარეობის დროს, დამნაშავეებისათვის მაქსიმალურ ვადას ზღუდავს 60 დღით წელიწადის განმავლობაში და მოუწოდებს მხარეებს იძულებით შრომად ჯანმრთელობისთვის სახიფათო სამუშაოების დანიშვნისგან თავის შეკავებისკენ. რაც შეეხება 1933 წლის 11 ოქტომბრის საერთაშორისო კონვენციას „სრულწლოვან ქალთა ვაჭრობის წინააღმდეგ", მისი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ მან

[20] International Convention for the Suppression of the traffic in women and children, Geneva, 30 September 1921; http://www.paclii.org/pits/en/treaty_database/1921/2.html

[21] "Slavery Convention" Signed at Geneva on 25 September 1926. http://www2.ohchr.org/english/law/slavery.htm

ტრეფიკინგის ცნება განავრცო მდედრობითი სქესის ყველა წარმომადგენელზე, ყურადღება გაამახვილა საზღვრის გადაკვეთის ფაქტის მნიშვნელობაზე და, აგრეთვე, მსხვერპლის თანხმობის მნიშვნელობის არქონაზე დანაშაულის დასჯადობისთვის. აღნიშნულმა კონვენციამ დასჯად ქმედებად აღიარა ტრეფიკინგის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და ტრეფიკინგის მცდელობა.[22]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსების შემდეგ, 1945 წლის 24 ოქტომბრიდან, საერთაშორისო სამართლისა და მათ შორის ადამიანთა ტრეფიკინგის მსოფლიო მასშტაბით სახელმძღვანელო და მარეგულირებელი საკითხების ჩამოყალიბება ხდება ამ ორგანიზაციის მეშვეობით. რაც შეეხება უშუალოდ ადამიანთა ტრეფიკინგს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, აქ საწყის ეტაპზე ტრეფიკინგში მოიაზრებოდა და ბრძოლა ეცხადებოდა მხოლოდ სექსუალურ ექსპლოატაციას ქალებსა და ბავშვებში. გაეროს ფარგლებში ამ მიმართულებით მიღებულ საერთაშორისო სამართლის დოკუმენტს წარმოადგენდა 1949 წლის „ადამიანთა ვაჭრობისა და მესამე პირის მიერ პროსტიტუციის ექსპლუატაციასთან ბრძოლის შესახებ კონვენცია, რომლის პირველ და მეორე მუხლებში ნათქვამია, რომ აღნიშნულ აქტში იგულისხმება ქმედებები, როდესაც ვინმე: ა) უბიძგებს, დაიყოლიებს ან გარყვნის მეორე პირს პროსტიტუციის მიზნით ან ეწევა მეორე პირის პროსტიტუციული საქმიანობის ექსპლუატაციას თუნდაც ამ მეორე პირის თანხმობით. ბ) აქვს საროსკიპო ან მართავს მას, შეგნებულად აფინანსებს ან მონაწილეობს საროსკიპოს დაფინანსებაში; გ) აქირავებს ან ქირაობს შენობას ან ფართის ნაწილს, თუმცა იცის, რომ იგი მესამე პირის მიერ პროსტიტუციული მიზნით იქნება გამოყენებული. პარალელურად, გაეროს ეგიდით ტარდებოდა მრავალი საერთაშორისო კონფერენცია და სემინარი, რათა მომხდარიყო ადამიანთა ვაჭრობისა და პროსტიტუციის პრობლემის სამართლებრივი გაფორმება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. პრობლემას წარმოადგენდა ასევე ადამიანთა ტრეფიკინგის რაობის შემეცნება, რაც იყო ბოლო დრომდე მკვლევართა დავის საგანი, რომლებიც ვერ თანხმდებოდნენ იმაში, თუ რა არის ადამიანთა ტრეფიკინგი - „ადამიანთა კონტრაბანდა“ თუ „ადამიანებით ვაჭრობა“?! აღნიშნული პრობლემების თეორიულ გადაჭრას მრავალი წლის შრომა დასჭირდა.

საზოგადოების მსოფლმხედველობა ადამიანთა ექსპლუატაციასთან დაკავშირებით მეოცე საუკუნის მანძილზე რადიკალურად იცვლებოდა, სულ უფრო და უფრო ფართოვდებოა მონური შრომისგან დაცულ ადამიანთა ჯგუფი, თუ თავიდან იგი მხოლოდ ევროპული რასის მდედრობითი სქესის წარმოდგენებზე გაავრცელეს, თანდათან მან არასრულწლოვნები და მამაკაცებიც მოიცვა,

[22] 1933 International Convention for the Suppression of the traffic in women of full age, www.oas.org/Juridico/MLA/en/traites/en_traites-inter-women_1933.pdf

ისევე როგორც სხვა რასის წარმომადგენლები. ასევე ადამიანთა შრომის გამოყენების სფეროები შეიზღუდა დაწყებული მონობიდან შემდგომ სექსუალური ექსპლუატაციის ჩათვლით და ბოლოს ყოველგვარი ძალადობრივი შრომის აკრძალვამდე მივიდა.

ყოველივე ზემოთქმულის კულმინაცია იყო 1948 წლის 10 დეკემბრის გაეროს „ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია", რითაც დაიგმო რასობრივი, ეთნიკური თუ სხვა სახის დისკრიმინაცია ისევე, როგორც ადამიანთა მონობის ყოველგვარი გამოვლინება, სასტიკ პირობებში ყოლა, წამება. დეკლარაციაში სხვა უფლებებთან ერთად, აღიარებულია ადამიანების კანონის წინაშე თანასწორობა და დაცულობა - ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ჩამონათვალი არ არის საბოლოო და კვლავ განიცდის ზრდას ადამიანთა უფლებების გაფართოების კვალობაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ჩამორჩა საერთაშორისო სტანდარტებს და მოახერხა შემჭიდროვებულ ვადებში მოეხდინა მისი საკანონმდებლო ბაზის სრულ შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან , რითაც დაიმსახურა მსოფლიო საზოგადოებისა და ექსპერტების უმაღლესი შეფასება და განიხილება ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მხრივ ლიდერ სახელმწიფოთა შორის.[23]

[23] ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები, http://www.state.gov/g/tip/rls/tiprpt/2009/123136.htm

3.2. უცხო ქვეყნების შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მრავალი სახელმწიფოს დამოკიდებულება ტრეფიკინგის მსხვერპლისადმი საგრძნობლად შეიცვალა. სახელმწიფოებმა აღიარეს, რომ ტრეფიკინგი საერთაშორისო დანაშაულია, ხოლო ტრეფიკირებული ადამიანები აღნიშნული დანაშაულის მსხვერპლნი (და არა დამნაშავენი) არიან. შესაბამისად, მრავალმა სახელმწიფომ საკუთარ კანონმდებლობაში გაითვალისწინა მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები, რაც საშუალებას იძლევა მათი დაპატიმრების ან დაუყოვნებელი დეპორტაციის ნაცვლად მოხდეს მათთვის სოციალური, ფსქიოლოგიური და იურიდიული დახმარების აღმოჩენა, მათი პირადი და ოჯახის წევრთა უშიშროების უზრუნველყოფა. ამ მექანიზმების გამოყენება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მსხვერპლის ინფორმირებულობაზე, რომელსაც, უმეტეს შემთხვევაში, წარმოდგენა არ აქვს თავისი სტატუსის შესახებ და ჰგონია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მას როგორც დამნაშავეს, ისე მოეპყრობიან.ასეთ პირობებში მსხვერპლის (პოტენციური მსხვერპლის) ინფორმირებულობას მისი უფლებების თაობაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კანონმდებლობის ცოდნა აუცილებელია შექმნილი ვითარების სწორად შეფასებისათვის, რათა ტრეფიკინგის მსხვერპლი არ გახდეს ადამიანით მოვაჭრეთა მხრიდან გამუდმებული ფსიქოლოგიური იძულების, დაშინების ან შანტაჟის ობიექტი. ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმართ სახელმწიფოთა დამოკიდებულებაში პოზიტიური ცვლილებების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბელგიის მიერ აღნიშნულ სფეროში მიღებული კანონები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა მსხვერპლთა დაცვის მექანიზმების შექმნას. თუმცა ეს მექანიზმები ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილებისაგან, ისინი მაინც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და შეიძლება გაზიარებულ იქნეს სხვა სახელმწიფოების მიერ, როგორც პროგრესული სამართლებრივი მიდგომის ნიმუში.[24]

აშშ-ს კანონმდებლობა – აშშ-მ 2000 წელს მიიღო სპეციალური კანონი - „ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის აქტი 2000“, რომლითაც აღიარა, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმართ ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა უმძიმეს დარღვევებს და სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ისინი დაცვითა და დახმარებით. აღნიშნული კანონით მოხდა ტრეფიკინგის კრიმინალიზაცია და შეიქმნა დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის სისტემა. კანონის თანახმად,

[24] გ. მათიაშვილი, SOS! ტრეფიკინგი, თბ., 2015 წ., გვ. 33

ტრეფიკინგის მსხვერპლი უფლებამოსილია ყველა იმ სოციალური სარგებლისა და მომსახურების მიღებაზე, რომელიც აშშ-ს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ლტოლვილებისათვის. იმისათვის, რომ პირს მიენიჭოს ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) სამართალდამცავი ორგანოების შეფასებით იყოს მსხვერპლი და პოტენციური მოწმე მომავალ სასამართლო პროცესზე;

ბ) ფიზიკურად იმყოფებოდეს აშშ-ს ტერიტორიაზე ტრეფიკინგის შედეგად;

გ) დათანხმდეს სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაზე;

დ) არსებობდეს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში მას სერიოზული საფრთხე ემუქრება.

ასეთი პირისთვის აშშ-ს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია ქვეყნის ტერიტორიაზე დროებითი ბინადრობის უფლება, რომელიც მსხვერპლს ენიჭება გენერალური პროკურორის მიერ გაცემული მიმართვის საფუძველზე. „ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ კანონის მიღებამდე, შეერთებული შტატების პრაქტიკაში დროებითი ბინადრობის უფლების მინიჭების ისეთი მექანიზმები არსებობდა, როგორიცაა ე.წ. „თავდებით გათავისუფლება“ ან „სანქციის გამოყენების გადავადება“, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლებს ქვეყანაში დარჩენისა და სამართალდამცავი ორგანოებისათვის ადამიანებით მოვაჭრეთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების შესაძლებლობას აძლევდა. მაგრამ ზემოხსენებული მექანიზმები თავისი მასშტაბით ჩამოუვარდებოდა იმ ზომებს, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის „ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ კანონმა დაადგინა. აღნიშნული კანონის 107-ე მუხლის „ც“ პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის მიხედვით, აშშ-ს გენერალურ პროკურორს შეუძლია ტრეფიკინგის მსხვერპლს მიანიჭოს „დროებითი ბინადრობის უფლება“, თუ სამართალდამცავი ორგანო ამ პირს „ტრეფიკინგის მძიმე ფორმის“ მსხვერპლად მიიჩნევს და განიხილავს მას ასეთ8ი დანაშაულის შესაძლო მოწმედ. ფაქტობრივად, ეს ზომა წარმოადგენს დეპორტაციისაგან დაცვას, რომლის ერთადერთი მიზანია სამართალდამცავი ორგანოებისათვის გამოძიების პროცესში დახმარების გაწევა. ეს ზომა არ ითვალისწინებს მსხვერპლისათვის მოსაფიქრებელი ვადის მიცემას (როგორც ეს ხდება ბელგიასა და ნიდერლანდებში). ტრეფიკინგის მსხვერპლი დაუყოვნებლივ უნდა დათანხმდეს თანამშრომლობაზე, რათა მას „დროებითი ბინადრობის უფლება“ მიენიჭოს. ზემოაღნიშნული მუხლი ასევე ითვალისწინებს სამართალდამცავთა ვალდებულებას - უზრუნველყონ მსხვერპლისა და ოჯახის წევრების უსაფრთხოება, მათ შორის, მათი დაცვა ადამიანებით მოვაჭრეთა და მათი

დამხმარეების მხრიდან მუქარის, დაშინებისა და ანგარიშსწორებისაგან. „დროებითი ბინადრობის უფლება“ მოიცავს აშშ-ს ტერიტორიაზე მუშაობის უფლებასაც. „დროებითი ბინადრობის უფლება“ შეეხება ტრეფიკინგის ისეთ ფორმას, რომელსაც ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის შესახებ კანონი „ტრეფიკინგის მძიმე ფორმად“ მოიხსენიებს. იგი, ფაქტობრივად, „ტრეფიკინგის“ სისხლის სამართლებრივი ცნების ანალოგიურია, თუმცა „მძიმე ფორმა“ ხაზს უსვამს ქმედებაში ისეთი ელემენტების არსებობის აუცილებლობას, როგორიცაა ძალადობა, მოტყუება ან იძულება. „ტრეფიკინგის მძიმე ფორმის“ ცნება მჭიდროდ უკავშირდება პალერმოს ოქმის ტრეფიკინგის დეფინიციას.[25]

საჭიროდ მიგვაჩნია, აქვე განვიხილოთ აშშ-ს მთავრობის მიერ დადგენილი ზომები იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ტრეფიკინგთან ბრძოლის მინიმალურ სტანდარტებს.

აშშ-ს პოლიტიკა არ ითვალისწინებს დახმარებას (გარდა ჰუმანიტარულისა) ქვეყნებისთვის, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ტრეფიკინგთან ბრძოლის მინიმალურ სტანდარტებს.

სახელმწიფო სამდივნო კონგრესის შესაბამისი კომიტეტი აწვდის რამდენიმე ტიპის ანგარიშა ტრეფიკინგთან დაკავშირებული სიტუაციის შესახებ. ესენია:

1. წლიური ანგარიში. ანგარიში უნდა შეიცავდეს იმ ქვეყნების სიას, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მინიმალურ ანტიტრეფიკინგულ სტანდარტებს;
2. პერიოდული ანგარიშები. შეიცავს ინფორმაციას ტრეფიკინგის განსაკუთრებულად მძიმე ფორმებისა და იმ ქვეყნების შესახებ, რომლებიც არ აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის მინიმალურ სტანდარტებს.

ა) არაჰუმანიტარული დახმარების შეწყვეტა: აშშ არ დაეხმარება იმ ქვეყნის მთავრობას, რომელიც არ დააკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს მომდევნო ფისკალურ წლამდე.

ბ) თუ ამ სახელმწიფოს მთავრობას ეს დახმარება უკვე მიღებული აქვს, აშშ აღარ დააფინანსებს ამ მთავრობის ოფიციალურ პირთა მონაწილეობას კულტურულ და საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამებში და შეუწყვეტს იქამდე, ვიდრე არ დაკმაყოფილდება მინიმალური სტანდარტები.

გ) პრეზიდენტი მიმართავს მრავალმხრივი განვითარების ბანკების აღმასრულებელ დირექტორებსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მხარი არ დაუჭირონ ამ ქვეყნისთვის რაიმე სესხის ან სხვა ფონდის გაცემას იქამდე, ვიდრე ეს სახელმწიფო არ მიიღებს შესაბამის ზომებს (გარდა ჰუმანიტარული დახმარებისა, განვითარებისათვის ხელშეწყობისა, რომელიც კონკრეტულად ეხება

[25] გ. მათიაშვილი, SOS! ტრეფიკინგი, თბ., 2015 წ., გვ. 36

ამ ქვეყნის მოსახლეობის ძირითად მოთხოვნილებებს და არ არის ადმინისტრირებული მთავრობის მიერ).

დ) პრეზიდენტს, ასევე, შეუძლია, გამოიყენოს თავისი უფლება სხვა საერთაშორისო არაჰუმანიტარულ დახმარებებზეც.[26]

[26] გ. ლობჟანიძე, ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2006 წ., გვ. 79

თავი IV. ტრეფიკინგი და ეროვნული კანონმდებლობა

4.1. ადამიანით ვაჭრობა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით

სისხლის სამართლის კოდექსი. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინალიზაცია საქართველოში 2003 წელს განხორციელდა. სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი 143(1)-ე მუხლით დასჯადად გამოცხადდა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი). სისხლის სამართლის კოდექსის 143(2)-ე მუხლმა კანონგარეშე გამოაცხადა არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი). კოდექსის 143(3)-ე მუხლი კი, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წელს შევიდა, დასჯადად აცხადებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობას.

საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი მკაცრი სანქციებისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის მექანიზმების შემოღების პარალელურად 2006 წლის 28 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში სახელმწიფო ორგანოთა, თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა უფლებამოსილებებს, ვალდებულებებსა და მათი საქმიანობის კოორდინაციის წესს, აგრეთვე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

კანონის მიზანია: უზრუნველყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა უფლებების დაცვით; უზრუნველყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია; განსაზღვროს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თავისებურებები; დ) განსაზღვროს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისათვის, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციისათვის

სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და იურიდიული პირების თანამშრომლობის პრინციპები.[27]

რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, ასე გამოიყურება:

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროებში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა განისაზღვრება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროებში საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად;
- სახელმწიფო ხელს უწყობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა ადამიანის უფლებების დაცვას, მათ დახმარებასა და რეაბილიტაციას, ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს;
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებას და მის წინააღმდეგ ბრძოლას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვას, დახმარებასა და რეაბილიტაციას, ხელმძღვანელობენ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ამ კანონითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების მექანიზმები და სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების სფეროში. ეს მექანიზმებია:

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების მექანიზმები არის იმ ორგანიზაციული, სამართლებრივი, კვლევითი, საგანმანათლებლო, საინფორმაციო, სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემცირებისაკენ, თავიდან აცილებისა და აღკვეთისაკენ. 2. სახელმწიფოს საქმიანობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების სფეროში გულისხმობს: ა) მოკლე- და გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებასა და გახორციელებას ქვეყანაში სიღარიბის,

[27] საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი;

ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის, უმუშევრობისა და შესაძლებლობებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობის შემცირებისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისათვის;

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამომწვევი მიზეზების ანალიზსა და შეფასებას;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმებისა და გავრცელების მასშტაბის კვლევასა და მონაცემთა შეგროვებას ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების შემუშავების მიზნით;
- მიგრაციის სრულყოფილ სამართლებრივ რეგულირებას, ლეგალური შრომითი მიგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გახორციელებას;
- არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხის შემცირებას საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის გახორციელებით, მათ შორის, შესაბამის სახელმწიფო უწყებებში „ცხელი ხაზების“ შექმნით, მოსახლეობის ფართო ფენებისათვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებით, საქართველოს საპასპორტო-სავიზო სამსახურების, სასაზღვრო-გამშვები პუნქტებისა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების უზრუნველყოფით საინფორმაციო მასალით საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა ლეგალური შრომისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ცენტრების შესახებ და სხვა;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა (სკოლების) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამებში ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული საკითხების შეტანას;
- სპეციალური მოსამზადებელი კურსების ან სემინარების ორგანიზებასა და ჩატარებას იმ სახელმწიფო მოხელეთათვის, რომლებიც ახორციელებენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებებს;
- ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ადამიანის ექსპლუატაციის ხელშემწყობი ყველა ფაქტორის წინააღმდეგ.[28]

საბჭოს დებულება. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)

[28] საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი;

წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად: დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო.

4.2. სასამართლო გადაწყვეტილება

სისხლის სამართლის პროცესი განაჩენში ცვლილების შეტანა მსჯავრდებულის სასიკეთოდ სასჯელის შემცირება განჩინება საქართველოს სახელით №263-აპ-12 24 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა მსჯავრდებულების _ მ.ჩ-სა და რ.ჯ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის განაჩენზე. აღწერილობითი ნაწილი: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 იანვრის განაჩენით: მ. ჩ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა», „ე» ქვეპუნქტებით _ 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით _ 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა _ 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ზემოაღნიშნული მუხლებით დანიშნული სასჯელები სრულად შეიკრიბა და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამასთან, სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა _ 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

რ. ჯ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა», „ე» ქვეპუნქტებით _ 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით _ 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა _ 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ზემოაღნიშნული მუხლებით დანიშნული სასჯელები სრულად შეიკრიბა და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამასთან, სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა _ 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2010 წლის 7 მაისს რ. ჯ-ა და მ.ჩ-ე დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს, უკანონოდ აღეკვეთათ თავისუფლება მათივე საერთო ნაცნობ ი.ხ-სათვის და შემდგომში ძალადობის გზით გამოეძალათ მისთვის ფულადი თანხა _ 3000 ლარის ოდენობით. თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მ. ჩ-ე მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ი. ხ-ს და შეხვდა მას თბილისში, რის შემდეგაც, საქმის გარკვევის მიზნით, მ.ჩ- ი.ხ-ე ... რ. ჯ-ს საცხოვრებელ სახლში მიიყვანა. რ.ჯ-მ და მ.

ჩ-მ ი. ხ-ე აღნიშნული სახლის სარდაფში ჩაიყვანეს, სადაც მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და მოსთხოვეს 3000 ლარის მიტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაემუქრნენ ფიზიკური ანგარიშსწორებით. ი.ხ-მ ბოროტმოქმედებს რამდენჯერმე სთხოვა, რომ გაეშვათ იგი, რათა ეს თანხა შეეგროვებინა, მაგრამ აღნიშნულზე მ. ჩ-მ და რ.ჯ-მ ი.ხ-ს კატეგორიული უარი განუცხადეს, თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით აიძულეს, მობილური ტელეფონით დაკავშირებოდა მეუღლეს _ თ.ც-ს, სიმამრს _ მ.ც-ს და განთავისუფლების სანაცვლოდ ეთხოვა მათთვის, რომ ბოროტმოქმედებისათვის 3000 ლარი მიეტანათ. 2010 წლის 8 მაისის საღამოს საათებამდე მ.ჩ-ს და რ.ჯ-ს ი.ხ-ე ..., ... ქუჩის №...-ში, მდებარე რ.ჯ-ს კუთვნილი საცხოვრებელი ბინის სარდაფში ჰყავდათ უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილ მდგომარეობაში და არ აძლევდნენ თავისი სურვილისამებრ გადაადგილებისა და სარდაფის დატოვების უფლებას. ამასთან, ი.ხ-ს ჩამოართვეს მობილური ტელეფონი და აღარ მისცეს შესაძლებლობა, საკუთარი ნება-სურვილის შესაბამისად, ტელეფონით დაკავშირებოდა ახლობლებს. 2010 წლის 8 მაისს, დილის საათებში, ... მეტროს სადგურ „...» მიმდებარე ტერიტორიაზე, მ.ჩ-ე შეხვდა ი.ხ-ს სიმამრს _ მ.ც-ს და სიძის _ ი.ხ-ს გათავისუფლების სანაცვლოდ 3000 ლარის მიტანა მოსთხოვა, რაზეც მ.ც-საგან თანხმობა მიიღო და შეხვედრა რამდენიმე საათის შემდეგ დაუთქვა. იმავე დღეს, მ.ც-ე შეხვდა რ.ჯ-ს და თანხის გადაცემამდე მოსთხოვა, რომ მიეცათ უფლება, მობილური ტელეფონით დალაპარაკებოდა სიძეს _ ი.ხ-ს, უზრუნველეყოთ მასთან უშუალო შეხვედრა და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ დაპირდა ფულადი თანხის გადაცემას. დათქმულ ადგილზე მ.ც-საგან ფულადი თანხის მისაღებად რ. ჯ-ა ი.ხ-სთან ერთად მივიდა. მ ც-ს უშუალო მითითებით, რ.ჯ-ა, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირი, პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ეჭვმიტანილის სახით, ხოლო მ. ჩ-მ კი შეძლო მიმალვა, მაგრამ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად მ. ბ-ძეც დააკავეს. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის განაჩენით დარჩა უცვლელად. მსჯავრდებული რ. ჯ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას. მსჯავრდებული მ. ჩ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი: საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულების _ რ. ჯ-სა და მ. ჩ-ს საკასაციო საჩივრების მოტივებს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა», „ე» ქვეპუნქტებითა და 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით შერაცხულ ბრალდებებში მათი უდანაშაულობის შესახებ და თვლის, რომ საქმეში წარმოდგენილია

საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მათ ნამდვილად ჩაიდინეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. მსჯავრდებულების _ რ. ჯ-სა და მ. ჩ-ს ბრალეულობა დადასტურებულია უტყუარი მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა მსჯავრდებულების მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდებები. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედებები და არ არსებობს საფუძველი მათი შეცვლისათვის. რაც შეეხება სასჯელს, მიუხედავად მსჯავრდებულების _ რ.ჯ-სა და მ.ჩ-ს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების არსებობისა, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს მსჯავრდებულების მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, დანაშაულის შედეგად დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგს და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულებს _ რ.ჯ-სა და მ.ჩ-ს დანიშნული სასჯელები უნდა შეუმცირდეთ. რ.ჯ-ს საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით უნდა დაენიშნოს ჯარიმა _ 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მსჯავრდებულ მ.ჩ-ს ასევე. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება. [29]

[29] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2012, №07-12 http//:ტრეფიკინგიი/sisxli-2012-7-12-uni.pdf

თავი V. ტრეფიკინგთან ბრძოლის გზები

5.1. დირექტივა ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ

ტრეფიკინგი ადამიანის უფლებების ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დარღვევაა. იგი გლობალური პრობლემაა და განეკუთვნება ტრანსნაციონალურ დანაშაულთა კატეგორიას. [30]ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის კუთხით, 2000 წელს, ქ. პალერმოში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენციის ოქმის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთის და დასჯის შესახებ“ ხელმოწერა. მაშინ ამ ოქმს ევროგაერთიანებაც მიუერთდა.

საქართველოს პარლამენტმა ამ ოქმის რატიფიცირება მოახდინა 2006 წლის ივნისში.[31] იმავე წლის ნოემბერში, საქართველო ევროსაბჭოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციასაც მიუერთდა. ადამიანებით ვაჭრობის თემა საქართველოსთვის მისი ტრანზიტული ფუნქციიდან გამომდინარე, განსაკუთრებით აქტუალურია და ეს ეხება არა მხოლოდ ქალებს, არამედ მამაკაცების სამუშაო ძალად გამოყენებასაც.

ტრეფიკინგი ხშირად ორგანიზებული დანაშაულობის ფარგლებში ხორციელდება და ის კატეგორიულად აკრძალულია ძირითად უფლებათა ევროპულ ქარტიაშიც.[32] აქედან გამომდინარე, ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოებისათვის მასთან ბრძოლა პრიორიტეტულია.

ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის თანახმად, წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ გარკვეული ქმედებების დასჯა და ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვა. მე-2 მუხლის პირველ აბზაცში ჩამოთვლილია შემდეგი დასჯადი ქმედებები: გადაბირება, გადაყვანა, თავშესაფრის მიცემა, სხვისთვის პირზე კონტროლის გადაცემა, თუ ისინი ჩადენილია ძალის ან მუქარის, იძულების სხვა ფორმის, გატაცების, მოტყუების, თაღლითობის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ან პირის უმწეობის გამოყენების გზით. ასევე საზღაურის ან სარგებლის მიცემის, ან აღების გზით იმ მიზნით, რათა მიღწეულ იქნას იმ პირის თანხმობა, რომელიც სხვა პირზე კონტროლს ახორციელებს. ყოველივე ეს ჩადენილი უნდა იყოს ექსპლუატაციის მიზნით.

---

[30] გამყრელიძე, სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, გვ. 115

[31] ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, გვ. 59

[32] ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ, 15.04.2011

ექსპლუატაცია გულისხმობს სხვის გამოყენებას პროსტიტუციაში ან სხვა სექსუალურ ქმედებებში ჩაბმის, იძულებითი შრომის, მომსახურების გაწევის, მათხოვრობის, მონობის ან მონობის მსგავს პირობებში ჩაყენების, დანაშაულში ჩაბმის ან ორგანოების ამოჭრის გზით (მუხლი მე-2, აბზ. მე-3).

მსხვერპლის თანხმობას ქმედების კვალიფიკაციისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ მე-2 მუხლის პირველ აბზაცში ჩამოთვლილი ერთ-ერთი წინაპირობა შესრულებულია. ბავშვთან მიმართებით კი (18 წლამდე პირი) ტრეფიკინგად კვალიფიკაციისათვის ამ წინაპირობების არსებობა (ძალადობა, მოტყუება...) არ არის საჭირო. სისხლისსამართლებრივი წესით პასუხი უნდა აგოს ასევე წამქეზებელმა და დამხმარემ. მცდელობაც დასჯადია.

ფიზიკურ პირებთან ერთად, დირექტივა იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხსაც აყენებს. აქაც ევროკავშირის სხვა დოკუმენტების მსგავსად, ლაპარაკია არა კონკრეტულად სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებაზე იურიდიული პირების მიმართ, არამედ ზოგადად ქმედით, თანაზომიერ და დამაშინებელ სანქციებზე. იურიდიული პირი პასუხს აგებს მაშინ, როდესაც დანაშაული ჩადენილია მის სასარგებლოდ ფიზიკური პირის მიერ, რომელიც დამოუკიდებლად ან როგორც მისი ორგანოს ნაწილი მოქმედებდა და რომელსაც საწარმოში წამყვანი პოსტი ეკავა.

დირექტივაში მოცემულია კონკრეტული სანქციებიც. სახელმწიფოებმა სულ მცირე 5 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა დააწესონ მე-2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის. უფრო კაცრი სასჯელი უნდა დაწესდეს დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას.[33]

[33] ბ. ჯიშკარიანი, ევროპული სისხლის სამართალი (ევროკავშირის ფარგლებში), თბ., 2018 წ., გვ. 217

5.2. ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა და დანაშაულის აღმოჩენის გზები

აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით, მოწმეთა დაცვის ყოვლისმომცველი ღონისძიებები ხელმისაწვდომია იმ მოწმეებისთვისაც, რომლებიც ჩვენებას აძლევენ ისეთი დანაშაულის მხილებისა და გამოვლენისთვის, როგორიცაა ადამიანის ტრეფიკინგი, იძულებითი შრომა, მონობა, არანებაყოფლობითი სერვიტუტი და დოკუმენტების უკანონო ჩამორთმევა. აშშ-ს კანონმდებლობით განსაზღვრული მოწმეთა დაცვის ღონისძიებები მოიცავს სახელისა და გვარის, საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებას, ფინანსური დახმარების გაწევას, დახმარებას დასაქმებისას, აგრეთვე სხვა სახის დახმარებას, რაც ხელს შეუწყობს პირს, თავად იზრუნოს თავის ცხოვრებაზე. ტრეფიკინგის მსხვერპლის მიმართ ანგარიშსწორების „რეალური" საფრთხის არსებობის დადგენა აუცილებელია, რაც სათანადო მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს. ეს კი მეტად რთულია. როგორც ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს: „მოწმეთა დაცვის პროგრამის არსი ემყარება მოწმეთა ჰარმონიულ თანაცხოვრებაში შესვლას დანარჩენ მოსახლეობასთან, რაც ტრეფიკინგის შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია, რადგან მსხვერპლი მიგრანტია, არ ფლობს ინგლისურ ენას და არ შეუძლია დამოუკიდებელ ცხოვრებას ისე სწრაფად შეუდგეს, როგორც ამას პროგრამა მოითხოვს"[34]. ამდენად, მოწმეთა დაცვის ფედერალური პროგრამა (მოწმეთა სრულყოფილი დაცვა შეცვლილი ვინაობითა და ადგილსამყოფელით) ყოველთვის არ გამოდგება ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმართ. ტრეფიკინგის შემთხვევების დროს გამოყენებული მოწმეთა დაცვა უფრო მეტად ad hoc ხასიათს ატარებს წარმატების მეტ-ნაკლები ხარისხით. ფედერალური კანონის მიხედვით, მოწმის ოჯახი შეიძლება დაცულ იქნეს და, შესაბამისად, გადაყვანილ იქნეს საცხოვრებლად სხვა ადგილზე „თუ მას საფრთხე ემუქრება სამართლებრივ ღონისძიებებში მონაწილეობის გამო". [35]

როგორ იგებს ხელისუფლება მსხვერპლის შესახებ: პირველია მობილური ჯგუფები: შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა ოთხი მობილური ჯგუფი, მაღალი რისკის ადგილებში ტრეფიკინგის პოტენციური შემთხვევების იდენტიფიცირების მიზნით. მობილურმა ჯგუფმა გამოკითხა სექს მუშაკები (მათ შორის უცხოელები) ისეთ ადგილებში როგორიცაა ბარები, აბანოები და საუნები, ასევე სააგენტოებში რომლებიც ადამიანებს ბუნდოვან სამუშაო ადგილებს სთავაზობენ საქართველოში და საზღვარგარეთ და სატრანსპორტო კომპანიებში. იდენტიფიცირების

[34] გ. მათიაშვილი, SOS! ტრეფიკინგი, თბ., 2015 წ., გვ. 43
[35] იქვე: გვ. 44

მიზნებისთვის მობილურმა ჯგუფებმა ასევე გამოკითხეს თურქეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან დეპორტირებული მოქალაქეები. ამ სამუშაოს შესრულებისას მობილურმა ჯგუფებმა გაითვალისწინეს რიგი საკითხები, მათ შორის მსხვერპლს ჩამოერთვა თუ არა დოკუმენტები, შეეზღუდა თუ არა გადაადგილება, ასევე შეაფასეს პირის ენობრივი უნარები და ფინანსური მდგომარეობა (მფლობელობაში არსებული ფული/ვალები). პოლიცია: ეროვნული რეფერალური მექანიზმის მიხედვით, ხშირ შემთხვევაში პოლიცია ამყარებს პირველ კონტაქტს მსხვერპლთან, როგორც აღინიშნა მათ მაღალ დონეზე შეუძლიათ ყალბი საბუთების გამოვლენა, სავიზო კონტროლისას და დაუყოვნებლივ აცნობებენ გამომძიებლებს ტრეფიკინგის შესაძლო შემთხვევის შესახებ და პოტენციური მსხვერპლი გადაყავთ უსაფრთხო ადგილას, თანმხლები პირების გარეშე. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის და უკანონო მიგრაციის სამმართველოს თანამშრომლები ერთვებიან ყალბი დოკუმენტების გამოყენების შემთხვევებში. ისინი ახორციელებენ საზღვრების მონიტორინგს (საერთაშორისო აეროპორტი, სარფის გამშვები პუნქტი) 24 საათის განმავლობაში და აწარმოებენ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლად ეჭვმიტანილ პირთა გამოკითხვას. მიგრაციის დეპარტამენტი: მიგრაციის დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროში 2014 წლის აგვისტოში #588 დადგენილებით შეიქმნა. 2012 წელს ძალაში შევიდა კანონი ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო (UNHCR-თან თანამშრომლობით) ტრეფიკინგის შესაძლო შემთხვევის შესახებ აცნობებს სახელმწიფო ფონდს ან სამართალდამცავებს. თავშესაფრის მაძიებელთათვის გამოყენებული კითხვარი იძლევა ტრეფიკინგის შესაძლო შემთხვევის გამოვლენის შესაძლებლობას. თავშესაფრის მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში, მსხვერპლები მაინც გადამისამართდებიან სახელმწიფო ფონდში და ექნებათ წვდომა მომსახურებებზე.

ინსპექცია უფლებამოსილი,ა გაატაროს იძულებითი შრომის პრევენციის ზომები, ამ მიმართულებით მთავრობის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. შრომის ინსპექციის როლი არაერთხელ აღინიშნა, რადგან 2016 წლიდან შრომის ინსპექციის მანდატი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებთან ერთად ტრეფიკინგის შემთხვევების იდენტიფიცირებასაც ითვალისწინებს. საკანონმდებლო შესწორებებმა შრომის ინსპექტორებს დაწესებულებებში წინასწარი ნებართვის გარეშე შესვლის და შემოწმების უფლება მისცა. 25 ინსპექტორი უკვე აიყვანეს სამსახურში. ტრეფიკინგის იდენტიფიცირებული მსხვერპლების გადამისამართება საჭირო მომსახურებებზე ხდება „ხშირად“, თუმცა ქალების გადამისამართება უფრო ხშირია, ვიდრე მამაკაცების.

მნიშვნელოვანია, რომ ცხელ ხაზზე უფრო ხშირად რეკავენ საზღვარგარეთ მიმავალი ბავშვების მშობლები, ან მოაქვთ კონტრაქტები და აჩვენებენ თანამშრომლებს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ფონდის იურისტები ახდენენ საფრთხის შეფასებას. 2015 წელს სახელმწიფო ფონდმა (ICMDP-ის მხარდაჭერით) ცხელი ხაზის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაავრცელა ბროშურები, მაისურები და ჩანთები. ინფორმაცია გავრცელდა საზღვრებზეც და რეგიონებშიც (მაგალითად ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მხარდაჭერით). საინფორმაციო კამპანიების შედეგად ამაღლდა ცნობიერება ცხელი ხაზის შესახებ. თუმცა რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ ინფორმაციის გავრცელება ცენტრიდან დაშორებულ ადგილებში კვლავ რთულია, რადგან მაგალითად აჭარის რეგიონში არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობა დაბალია, ისევე როგორც ნდობა სახელისუფლებლო ორგანოების მიმართ. ამ კონტექსტში საქართველოს მთავრობამ აღნიშნა, რომ 2011 წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირი -სახელმწიფო მომსახურებების განვითარების სააგენტომ, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით განახორციელა პროექტი ადგილობრივი მთავრობების და მმართველობის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეიქმნა სათემო ცენტრები, რომელთა მიზანია მედიაცია მთავრობასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის და სახელმწიფო და კერძო მომსახურებების უზრუნველყოფა ადგილობრივ დონეზე. ეს სათემო ცენტრები ასევე გამოიყენება ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციისთვის, მათთვის მომსახურების, ინიციატივების და საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის მიზნით, ასევე ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრების ორგანიზებისათვის. დღეისათვის, საქართველოში 33 სათემო ცენტრი მოქმედებს და კიდევ 11 შენდება.[36]

[36] საჭიროებათა შეფასება, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში, თბ., 2016 წ., გვ. 33

5.3. ტრეფიკინგთან ბრძოლა საქართველოში
და არსებული პრობლემები

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები. სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ასე ყალიბდება: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები არის იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც ხორციელდება ამ დანაშაულის გამოვლენისა და გახსნის, დამნაშავეთა დადგენისა და დაკავების, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გახორციელებისა და მათთვის სასჯელის შეფარდების უზრუნველსაყუფად, აგრეთვე რომლებიც აუცილებელია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვისა და დახმარებისათვის.[37]

სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლას, უზრუნველყოფენ ამ დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთისათვის პროფილაქტიკური ღონისძიებების გახორციელებას, დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების დადგენას, დაკავებას და მათ მიმართ საქართველოს კანონმებლობით დადგენილი წესით სისხლისსამართლებრივი დევნის გახორციელებას.

სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლას და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვას, შეიმუშავებენ სავალდებულო სახელმძღვანელო მითითებებს და თავიანთი თანამშრომლებისათვის უზრუნველყოფენ სპეციალური მოსამზადებელი კურსების ან სემინარების ჩატარებას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების, მათდამი მოპყრობისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეთა წარმოების თავისებურებებზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობის გახორციელებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა და მოწმეთა პირადი უსაფრთხოების დაცვას, ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნას, აგრეთვე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავებისა და გახორციელების ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან.

---

[37] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია - საქართველო 2006-2008, თბ., 2007 წ., გვ. 28

საქართველოს პროკურატურა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას და სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანად გახორციელების მიზნით საქართველოს პროკურატურის და სხვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლების მონაწილეობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან იქმნება ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას უწევს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების გახორციელებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედ ჯგუფს უფლება აქვს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისგან, მათ შორის, საელჩოებისა და საკონსულოებისაგან, უშუალოდ მიიღოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.

საქართველოში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო მოწესრიგებას ითვალიწინებს საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის“ შესახებ.

სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების სფეროში ასეთია:

- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებას, ქმნიან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის საჭირო პირობებს, ახორციელებენ ამ დანაშაულის შესაძლო რისკის ჯგუფებისათვის სამართლებრივი, ეკონომიკური გარემოს გაჯანსაღებას, აგრეთვე ატარებენ შესაბამის საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიას;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენტური სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად გახორციელებას;
- სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და საზოგადოებისათვის მის ხელმისაწვდომობას, სამუშაოს მაძიებელთა შრომითი მოწყობის მიზნით საშუამავლო

საქმიანობის განხორციელებას, უმუშევართა დასაქმებისათვის სათანადო პროექტების შემუშავებისა და რეალიზაციის ხელშეწყობას;

- ტურიზმისა და კურორტების დარგის მართვის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს ტურისტების და დამსვენებლების დაცვისა და უსაფრთხოების პროგრამას და კოორდინაციას უწევს მის განხორციელებას;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამებში ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული საკითხების შეტანას;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობებისა და საქართველოს ვიზების გაცემას, საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირთა საქართველოს ფარგლების გარეთ დასაქმების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს უცხო ქვეყნებთან შესაბამისი ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადებისათვის მოლაპარაკებების გამართვას, ხოლო საქართველოს ფარგლების გარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირთა სამართლებრივი დახმარების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით – საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში ან საკონსულო დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პირთა განსაზღვრას;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულში მონაწილე პირთა გამოვლენის და მათი საქართველოში შემოსვლისა და საქართველოდან გასვლის აღრიცხვის უზრუნველსაყოფად აკონტროლებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირების გატარებასა და სასაზღვრო-გამშვები პუნქტების საქმიანობას, აგრეთვე თანამშრომლობს უცხო ქვეყნების შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებთან, შეისწავლის და აანალიზებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს და მათი აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად ახორციელებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს;
- სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას და ამ მიზნით თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან,

საქართველოში საქმიანობის განმახორციელებელ არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან და სამოქალაქო საზოგადოების სხვა დაწესებულებებთან.[38]

ცხადია, ორგანული კანონის შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისაკენ, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციისაკენ. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა განისაზღვრება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროებში საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად.[39]

ტრეფიკინგი, როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოდ ხელყოფს ადამიანთა იმ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც ადამიანის, როგორც დამოუკიდებელი პირის ფუნქციებს, არაფრად აგდებს. აქედან გამომდინარე, ეს დანაშაული სცილდება ერთი ქვეყნის აზღვრებს და ტრანსნაციონალურ ხასიათს იღებს. ის მრავალმხრივი საშიშროებით ხასიათდება, რადგან ხელყოფს ადამიანის უფლებას, რომ თავისუფლად გადაადგილდეს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ზღუდავს ადამიანის შრომის თავისუფლებას, ოჯახისა და არასრულწლოვანთა ინტერესებს. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ტრეფიკინგი ლახავს იმ უფლებას, რომელიც „ადამიანის ადამიანად ყოფნისათვის“ ფუნდამენტურია. ეს არის ღირსება.[40]

რა თქმა უნდა, უდიდესი როლი მიუძღვის ტრეფიკინგის საქმის გამორკვევასა და გამოძიებაში შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს, მაგრამ აქ მეორე უკიდურესობას ვაწყდებით - ადამიანით ვაჭრობა ვერ აყვავდება სახელმწიფო მოხელეებისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელშეწყობის გარეშე. ადგილობრივი პოლიციის მონაწიეობა შემოიფარგლება როგორც საროსკიპოებში უფასოდ სტუმრობით, ასევე ქვეყანაში ქალთა ტრეფიკინგის ხელშეწყობით. ადფილობრივი პოლიციის მხრიდან თანამზრახველობა და კორუფცია ხელს უწყობს და ამძაფრებს ადამიანის უფლებების დარღვევას. მსხვერპლები იხსენებენ პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც სტუმრობდნენ საროსკიპოებს სექსუალური მომსახურების მისაღებად ყალბი საბუთების მოპოვებისა და მოსალოდნელი რეიდების შესახებ მფლობელთათვის შეტყობინების სანაცვლოდ. სხვები კი

[38] საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი №6439; საქართველოს 2015 წლის 22 ივლისის კანონი №4085; საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3103;

[39] სისხლის სამართლის ქრონიკები, საერთაშორისო სამართლის ლაბორატორია, თბ., 2018 წ., გვ. 61

[40] სისხლის სამართლის ქრონიკები, საერთაშორისო სამართლის ლაბორატორია, თბ., 2018 წ., გვ. 62

პირდაპირ არიან ჩართულნი ტრეფიკინგის პროცესში. უმეტესად, ასეთ საქმეში ჩართული პოლიცია სრული დაუსჯელობით სარგებლობს და დღესდღეობით კორუფცია კვლავაც არ მცირდება.[41]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადამიანით ვაჭრობა ვერ გახორციელდება ადგილობრივი დაწესებულებებისა და პოლიციის ძალების მხრიდან გარკვეული დონის კორუფციის გარეშე, ამიტომ სამართალდამრღვევთა ამოცნობა დიდი ნაბიჯია ორგანიზებული დანაშაულის წარმატებით დამარცხებისათვის, განსაკუთრებით კი - ადამიანებით ვაჭრობის აღმოსაფხვრელად. ორივე პრობლემის აღმოფხვრა, რა თქმა უნდა, პოლიციის იმიჯსაც დაიცავს.

[41] მარტინა ვანდერბერგის მოსაზრება, ევროპის მკვლევარი. ქალთა უფლებების განყოფილება, ჰიუმან რაითს ვოჩი. წარმომადგენლობითი პალატა, 2002 წ.

თავი VI. კვლევის შედეგები

კვლევის დასასრულს, კონკრეტულად განვიხილავ, თუ რა დასკვნამდე მიგვიყვანა ნაშრომზე მუშაობამ. პირველ თავში წარმოდგენილია ლიტერატურის მიმოხილვა, რომელშიც ვეხებით ავტორებს, ვისმა შრომებმაც დახმარება გაგვიწია, უფრო ნათლად დაგვენახა ტრეფიკინგის არსი და მნიშვნელობა, მისი წარმოშობის მიზეზები, მიღებული შედეგები და აღმოფხვრის გზები. სწორედ ამ საკითხებს შევეხეთ უფრო ახლოს ნაშრომის მეორე თავის ორივე ქვეთავში. მიზეზ-შედეგობრიობა ის მთავარი ღერძია, რაზეც ეს დანაშაული ბრუნავს და სწორედ მიზეზებთან ბრძოლის შედეგად არის შესაძლებელი მისი დამარცხება.

აღნიშნული თავი ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წ.), ევროპის კონვენციას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, კონვენციას იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ, ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ, კონვენციას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და მის დამატებითი ოქმს. ეს ის მასალებია, რომელთა მიხედვითაც ტრეფიკინგი განიხილება, როგორც ადამიანის უფლებების შემლახავი და დამრღვევი ერთ-ერთი მძიმე დანაშაული.

მომდევნო თავში შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით პარალელს ვავლებთ ტრეფიკინგის საერთაშორისო კანონმდებლობასთან. საინტერესოა, როგორია ადამიანით ვაჭრობის ცნება საერთაშორისო სამართლის მიხედვით, როგორია უცხო ქვეყნების შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები და რამდენად ახლოს დგას საქართველოს კანონმდებლობასთან აშშ-ს კანონმდებლობა.

ეროვნული კანონმდებლობის კუთხით, ადამიანით ვაჭრობა განხილულია მეოთხე თავში, რომელიც ნორმატიულ მასალაზეა დაფუძნებული და გვაცნობს კანონის დამოკიდებულებას დანაშაულის ჩამდენისა და მსხვერპლის მიმართ. აქვეა მოცემული კანონში შეტანილი ცვლილებები, მომდევნო ქვეთავში კი სასამართლო გადაწყვეტილებათა ნიმუში, რომელშიც ტრეფიკინგის დანაშაულში ბრალდებულთა საბოლოო განაჩენს ვეცნობით და ვხედავთ, რამდენად სამართლიანია კანონი.

ამ მეტად მძიმე დანაშაულის სტრუქტურისა და დინამიკის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი ადასტურებს, რომ კრიმინალური საქმიანობის ეს კატეგორია მკვეთრად ვითარდება

ტრანსფორმაციას განიცდის და სრულყოფილი ფორმით, საზოგადოების სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში იკიდებს ფეხს.

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანით ვაჭრობა მისი ექსპლუატაციის მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციული დანაშაულის ერთ-ერთ სერიოზულ და ყველაზე გავრცელებულ ნაირსახეობას წარმოადგენს, რომელსაც დამნაშავისათვის მცირე რისკის ფასად უდიდესი მოგება მოაქვს. როგორც ვნახეთ, ამ დანაშაულმა გლობალური მასშტაბები შეიძინა და ცივილიზებული ქვეყნები სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგებიან მონობის ამ თანამედროვე ფორმას. ამ ქვეყნებთან ერთად ტრეფიკინგის წინააღმდეგ აქტიურად იბრძვის საქართველოც, თუმცა მას ბევრად უფრო მეტი ძალისხმევა სჭირდება.

კვლევის დასასრულს განვიხილავთ ტრეფიკინგთან ბრძოლის გზებსა და კონკრეტულ დირექტივას, მსხვერპლთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, დანაშაულის წინააღმდეგ არსებულ მეთოდებსა და მათ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რასაც მივყავართ დასკვნამდე, რომელზეც ნაშრომის ბოლოს, დასკვნით ნაწილში ვისაუბრებთ.

დასკვნა

მათთვის, ვინც ტრეფიკინგის მსხვერპლად მიიჩნევა და თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან, ბელგიური სისტემა კარგად მუშაობს, განსაკუთრებით, ბინადრობის მოწმობების გაცემისა და სხვადასხვა სახის დახმარების აღმოჩენის ნაწილში. ის ეხმარება ტრეფიკირებულ პირებს რეაბილიტაციაში, სამუშაოს მოძებნასა და საზოგადოებასთან ინტეგრირებაში. თუმცა რჩება უამრავი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ტრეფიკინგისა და საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის დანაშაულების აღრევასთან, ტრეფიკირებული პირების გამოვლენისა და დასჯისათვის პრიორიტეტის კინიჭებასთან და ა.შ. რაც მომავალში მსხვერპლთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით შემდგომ ცვლილებებს მოითხოვს.

კრიმინოლოგები და ტრეფიკინგით დაინტერესებული მკვლევრები აყალიბებენ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპებს, რომლებშიც მკვეთრად გამოყოფენ აუცილებელ საკითხებს, კერძოდ იმას, რომ ადამიანით მოვაჭრეები (ტრეფიკერები) უნდა დაისაჯონ იმის გათვალისწინებით, რომ ამ პროცესში ჩართულია როგორც დამნაშავეთა სამყაროს, ისე ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკური ელიტის ნაწილიც; რომ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის (ტრეფიკირებულის) მდგომარეობა არ უნდა დამძიმდეს, ის არ უნდა იქცეს შემდგომში სოციალური და მორალური დისკრიმინაციის ობიექტი; სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის უსაფრთხო და იურიდიული მომსახურება; ტრეფიკირებულს ხელი უნდა მიუწვდებოდეს მართლმსაჯულებაზე; მონაწილე სახელმწიფოების შესაბამისმა სტრუქტურებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან; ადამიანთა ვაჭრობის პრობლემა უნდა ავიდეს სახელმწიფო პოლიტიკის რანგში და ტრეფიკინგი უნდა განიხილონ, როგორც ადამიანის ბუნებითი და ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ფორმა; ამავე დროს, მსხვერპლთა მიმართ უნდა გახორციელდეს პროფილაქტიკური სამართლებრივი, ეკოლოგიური, სოციალურ-პოლიტიკური და ინფორმაციული ღონისძიებების კომპლექსური გეგმა; საზოგადოებამ უნდა ითანამშრომლოს საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ეს არის ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის ის აუცილებლად გასათვალისწინებელი პრინციპები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ამ მძიმე, საერთაშორისო დანაშაულის აღკვეთა და მსხვერპლთა სოციალური ინტეგრაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია (საქართველო, 2006-2008), თბ., 2007;
2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევები საქართველოში და მასთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები, ქალთა საინფორმაციო ცენტრი, 2008;
3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმების განვითარების დინამიკის ანალიზი და შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის იმპლემენტაცია, თბ., 2008;
4. ბაქაქური ნ., „ოჯახური ძალადობა და ადამიანების ტრეფიკინგი“ (როგორ დავიცვათ ჩვენი უფლებები), თბ., 2004;
5. ბაძაღუა მ., „ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი“ (საქართველოს მაგალითზე) - თბ., 2011;
6. გამყრელიძე ო.,, სასამართლო პრაქტიკის კომენტარი;
7. ვანდერბერგი მ., ქალთა უფლებების განყოფილება, ჰიუმან რაითს ვოჩი. წარმომადგენლობითი პალატა, 24.04.2002;
8. ლობჟანიძე გ., „ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები“, თბ., 2006;
9. მათიაშვილი გ., „SOS! ტრეფიკინგი“, თბ., 2015;
10. ონიანი თ., „ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში“, თბ., 2009;
11. საჭიროებათა შეფასება, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში, თბ., 2016;
12. „სისხლის სამართლის ქრონიკები“ (საერთაშორისო სამართლის ლაბორატორია), თბ., 2018;
13. „ტრეფიკინგი“ - „საინფორმაციო ბიულეტენი“, №3, თბ., 2003;
14. „ტრეფიკინგი“ – „საინფორმაციო ბიულეტენი“, №5, 2003;
15. ტურავა მ., „ევროპული სისხლის სამართალი“;
16. ჯიშკარიანი ბ., „ევროპული სისხლის სამართალი“ (ევროკავშირის ფარგლებში), თბ., 2018 წ;
17. ჯულუხაძე დ., „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ტრეფიკინგისათვის“, თბილისი, 2006;

უცხოური ლიტერატურა:

18. Дьяченко, А. – „Ответственность за сексуальную эксплуатацию женщин и детей“, „Уголовное право“, 2003, №2;
19. Karl J. Schmidt. The League of Nations - from Revolution to Reconstruction. Netherlands: University of Groningen, 1999 ;

20. Morehouse Christal. Combating human trafficking: policy gaps and hidden political agendas in the USA and Germany. Vsresearch, 2009 ;

სასამართლო პრაქტიკა:

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2012, №07-12 http:ტრეფიკინგიი/sisxli-2012-7-12-uni.pdf;

ნორმატიული აქტები:

22. ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ, 15.04.2011;

23. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულება;

24. საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი;

ვებ.გვერდები:

25. ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი, 2013 წ., https://police.ge/ge/projects/adamianit-vachroba ;

26. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი http://atipfund.gov.ge/ ;

27. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები, http://www.state.gov/g/tip/rls/tiprpt/2009/123136.htm ;

28. საქართველოს პროკურატურა, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა, 04.12.2019, http://pog.gov.ge/page/trefikingis-winaaRmdeg-brZola ;

29. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 11.12.2019 წ., https://matsne.gov.ge/ka/document/view/26152

30. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/26152?publication=11 ;

31. ტრეფიკინგი - მონობა ოცდამეერთე საუკუნეში, 31.01.2014, https://gtuc.ge;

32. International Agreement for the Suppression of the "White Slave Traffic," 18 May, 1979; http://www1.umn.edu/humanrts/instree/whiteslavetraffic1904.html;

33. International Convention for the Suppression of the traffic in women and children, Geneva, 30 September 1921; . http://www.paclii.org/pits/en/treaty_database/1921/2.html ;

34. “Slavery Convention” Signed at Geneva on 25 September 1926. http://www2.ohchr.org/english/law/slavery.htm ;

35. 1933 International Convention for the Suppression of the traffic in women of full age, www.oas.org/Juridico/MLA/en/traites/en_traites-inter-women_1933.pdf ;